

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი*

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მარიანა ასანიძე

*საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი ინფორმაციულ საუკუნეში:
დოკუმენტური კინო/ქრონიკა, როგორც „Soft-Power“- ის ინსტრუმენტი*

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

*სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციის და მედიის
კვლევების*

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ირა ბიჭიკაშვილი

ასოცირებული პროფესორი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თანახელმძღვანელი: სერგეი დანილენკო

*ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
პოლიტიკური მეცნიერებების დოქტორი*

თბილისი, 2018

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU)
Faculty of Political and Social Sciences*

Mariana Asanidze

*The role of Public broadcasting in the information age: the
documentary film/chronicle as a tool for "Soft-Power"- it's a tool*

Mass Communication and Media Studies

Supervisor: Ira Bichikashvili

Associate Professor of social and Political Sciences faculty

Co-supervisor: Sergey Danilenko

Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor of Political Science Dr.

Tbilisi, 2018

I. ანოტაცია

თემის აქტუალობა

პოსტინდუსტრიულმა, ციფრულმა ეპოქამ მსოფლიო წესრიგში განსაკუთრებული ეპოქა დაბადა. თუკი უნინ ეროვნებათაშორისი, სახელმწიფოთაშორისი ან მოკავშირეთაშორისი წინააღმდეგობები დიპლომატიური, სამხედრო-პოლიტიკური მოლაპარაკებებით წყდებოდა უძლიერესი შემაკავებელი ფაქტორის, ბირთვული იარაღისა და ადამიანის თვითშენარჩუნების ინსტინქტის ფონზე, დღეს ყველაფერი სხვაგვარად თავდაყირა დადგა. გაჩნდა ადამიანების ფორმაცია, რომლებიც შეგნებულად მიდიან თვითნადგურებისკენ, სიკვდილისკენ ფინტიური ზეიდების სახელით. დიპლომატიურ მოლაპარაკებებამდე საქმე არ მიდის, როგორც იტყვიან, მეჯლისს "ფეიკების", ყალბი ახალი ამბების ინდუსტრია მართავს. რომელიმე ქვეყნის დისკრიმინაციის, მისი ტრადიციებისა და ღირებულებების გამო იქმნება გამოგონებული ახალი ამბების მთელი წყება, - მხილებებისა, მტკიცებებისა, საზოგადოებრივი აზრისადმი აპელაციისა.

მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი ირყევა, სახელმწიფოების ლიდერები ხელებს შლიან, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სხვადასხვა განხილვებს მართავს, რომლის ვერდიქტებსაც არავითარი იმპერატიული ძალა არ გააჩნიათ.

მსოფლიო თითქოს ჭკუიდან შეცდა. მანიპულაციური მოქმედებების ციფრული შესაძლებლობები გვაცვიფრებენ თავიანთი ეფექტურობით. რომელიმე რადიკალური ორგანიზაციის ქმედებების გამო მსოფლიო ომში შეიძლება ჩათრეულნი აღმოჩნდნენ როგორ ბირთვული, ისე არაბირთვული ქვეყნები. რა შეიძლება დაუპირისპირდეს ქაოსს გონივრული სიტყვა? მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯოზეფ

ნაიმ გამოიყენა ტერმინი "რბილი ძალა": კულტურის, ხელოვნების, დიალოგისა და ტურიზმისა და ა. შ.

კვლევის საგანი

არის თუ არა ცნება "სოფთ ფაუერი" ანუ რბილი ძალა, რომელიც პირველად ენობრივ მიმოქცევაში ამერიკელმა პოლიტოლოგმა ჯოზეფ ნაიმ შემოიტანა, მხოლოდ ანტონიმი ხისტი ძალისა ან მისი ალტერნატივა, ოღონდ ბევრად უფრო უტილიტარული?

რასაკვირველია. შესაძლოა, განაჩენივით უღერდეს, მაგრამ ბევრი ანალიტიკოსი რბილ ძალას 21-ე საუკუნის კულტურულ იმპერიალიზმად მიიჩნევს. მათ ცხედუნის საპირწონედ შეიძლება ითქვას, რომ შაშხანა აღარ წარმოშობს ძალაუფლებას.

რბილი ძალა - ეს არის სხვების იძულება, ისურვონ ისეთივე შედეგები, როგორცაა ტყვენი თავად ისურვებდით. თუმცა ეს არ არის იგივე, რაც ზემოქმედება ან გავლენა, რბილი ძალა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ დარწმუნება, დაჯერება, არგუმენტებით მიმხრობა, თუმცა ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტებია რბილი ძალისა. რბილი ძალა - ეს არის მიზიდვის, მოხიბვლის უნარი, რასაც ხშირად დაპირისპირებული მხარეები

ურთიერთგაგებად მიჰყავს. მარტივად რომ ვთქვათ, ქცევით ცნებებში, რბილი ძალა „მიმზიდველი ძალაა“.

ჯოზეფ ნაი განიხილავს სამ კომპონენტს, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფოს შეუძლია, გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე: ა) კულტურა; ბ) ქცევითი ღირებულებები (რაც მთავარია, არა მხოლოდ დეკლარირებული, არამედ პრაქტიკაში დანერგილი, განხორციელებული, შედეგების მქონე) და გ) საგარეო პოლიტიკა, როგორც ასეთი.

კვლევის მიზანი და ამოცანები

შეიძლება თუ არა ამ სამ კომპონენტს (კულტურას; ქცევითი ღირებულებებს; საგარეო პოლიტიკას) დავეუკავშიროთ დოკუმენტური კინო/ქრონიკა? ბუნებრივია, პასუხი აპრიორი ცხადი არ არის, თუმცა საკვალიფიკაციო ნაშრომის შემდეგ თავებში დოკუმენტური კინო წარმოჩნდება როგორც „მაცდური და მოქნილი მედიაპროდუქტი“, რომელიც მოდიფიცირებას უწევს პოლიტიკური მასობრივი კულტურის ეფექტებს.

კვლევის ობიექტი

კონვეირული დოკუმენტური კინოპროდიქცია, რომელიც მატერიალური რეალიმისა და ობიექტივიზმის ნაზავს წარმოადგენს, მთლიანობაში კომერციულ ინტერესზეა გათვლილი. სამომხარებლო ინდუსტრიაში კინოპროდიქციის წარმოება შეიძლება დაიყოს ორი სახეობის კინოპროდიქტად. **პირველი მათგანი** - დოკუმენტური, ანუ არასათამაშო კინო - კინოხელოვნების სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა. ბრიტანელი და კანადელი დოკუმენტალისტი-კინორეჟისორი ჯონ გრიროსონი არასათამაშო კინოს განმარტავდა როგორც „რეალობის შემოქმედებით დამუშავებას“. დოკუმენტური კინოს რეალურობას ქმნიდა ისეთი გამოჩენილი დოკუმენტალისტების მთელი პლეადა, როგორებიც იყვნენ: რობერტ ფლაერტი, იორის ივენსი, ანიეს ივენსი, ჟან რუში, რობერტ ფრანკი, უილიამ კლაინი, გუალტიერო ჯაკოპეტი, ბერტ ჰანსტრა, ფრედრიკ უაიზმანი, ერო მორისი, ტერი ცვიგოფი და სხვები. ზემოთ ჩამოთვლილი რეჟისორების ფილმები თავის თავში ატარებენ საავტორო ხედვას „ინდივიდუალური აქცენტით“. თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ მაღალი ხარისხის ბრიტანული კომპანია „Vertu“-ს თანამედროვე ხარისხის მობილურ ტელეფონებთან, რომელიც მომხმარებლის ვიწრო სეგმენტზეა გათვლილი. აღნიშნული ტელეფონი დამზადებული ოქროს, ტიტანიუმისა და პლატინისაგან, რაც განსაზღვრავს მის მაღალ ხარისხსა და ფასს. კომპანიამ შექმნა „Handmade“ პროდიქცია, რომელიც არაა საზოგადოების ფართო მასებზე გატვლილი.

მეორე კინოპროექტი არის დოკუმენტური კინო, როგორც მედიაკულტურის ნაწილი. „საინფორმაციო გიგანტები“, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლობები აყალიბებენ სამყაროს განსაზღვრულ სურათს, იმავე დოკუმენტური კინოს მეშვეობით, და იმავდროულად აპელირებენ საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ. თუ ჩვენ ვსაუბრობთ ხილვადობაზე მედიაკულტურაში მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ამერიკული კომპანია „Apple“, რომელმაც ინოვაციური ტექნოლოგისაა და ღიზანის დახმარებით შეიქმნა რეპუტაცია სამომხმარებლო ინდუსტრიაში და მან მოახერხა, რომ გამხდარიყო წამყვანი კომპანია საზოგადოების ფართო მასებისათვის.

საზღვრების კვლევა

საზღვრების კვლევა შეისწავლის მაუწყებლის უფლებაუნარიანობას, მიზნებს და საქმიანობის საგნებს არა მარტო საქართველოს ფარგლებში. ამავე დროს მოხდება პარალელის გავლება რუსეთის საზოგადოებრივ მაუწყებელთან.

ჰიპოთეზა

- დოკუმენტური/ქრონიკა ჯერ კიდევ საეკრანო პუბლიცისტიკის ნაწილია, რომელსაც შეუძლია ისაუბროს ხელოვნების ენაზე თუ ის მასობრივი კომუნიკაციის სხვა ფენომენს წარმოადგენს?
- შესაძლოა თუ არა პოსტინდუსტრიულ ეპოქაში წარმოებულ დოკუმენტურ ფილმებს/ქრონიკას სოციალურ-კულტურული სტატუსის აღდგენა?

მეთოდოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შეიცავს პრინციპების და ხერხების ერთობლიობობას, რომელიც ახდენს შემდგომ მეცნიერული კვლევის ორგანიზებას.

კვლევის სტრატეგია:

- **კონტენტ-ანალიზი**

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივი

განსაზღვრული ვადები (1.01.2018 – 25.07.2018)

რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია მედიის შინაარსის (ინფორმაციის) შესწავლასთან, როდესაც ხდება მისი კლასიფიკაცია ფორმალიზებული პრინციპით.

- **ინტერვიუ**

- **ემპირიულ-სოციალურ**

სტაჟირება რუსულ საზოგადოებრივ მაუწყებელზე («Россия24»)

მეთოდი ემპირიულ-სოციალურ კვლევაში წარმოადგენს პირველადი ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის ძირითად ხერხს.

მე როგორც „მასობრივი კომუნიკაციისა და მედია კვლევის“ მაგისტრს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან საშუალება მიქონდა სტაჟირება გამეფლო „VGTRK“-ზე რუსეთის ერთ-ერთ წამყვან ფედერალურ არხზე „Russia24“. აღნიშნული კურსის გავლისათვის არ მომიწევდა რუსეთში გამგზავრება საშუალება რომ მიქონოდა საქართველოში საზოგადოებრივ მაუწყებელზე გამეფლო. დოკუმენტური კინოსადმი ინტერესი, რადგანადაც საზოგადოებრივ მაუწყებელზე ძალიან დაბალია, მომიწია ამ კურსის გავლა „Russia24“-ზე. რეკომენდაცია გამიწია ი. ბიჭიკაშვილმა (ჩემმა ხელმძღვანელმა). ამის შემდგომ გავხდი მათი გუნდის ოფიციალური წევრი და დღემდე მაქვს მათთან საქმიანი ურთიერთობა.

«რუსული საინფორმაციო არხის „ESMR“ მთავარ რედაქტორს

ე.ვ. ბეკასოვს

ძვირფასო ეგგენი ვლადიმეროვიჩ,

გთავაზობთ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან“ მასობრივი კომუნიკაციისა და მედია კვლევების მეორე კურსის მაგისტრის მარიანა ასანიძის კანდიდატურას, რათა გაიროს სტაჟირება თქვენს არხზე პროფესიური უნარების განვითარებისათვის. ექვს კვირიანი სტაჟირების მიზანი იყო მონაწილეობა მიეღოთ ინფორმაცია დოკუმენტური კინოს მნიშვნელობასა და მიზნებზე „VGTRK“ დოკუმენტური ფილმების მაგალითზე».

«ძვირფას მოსკოველ კოლეგებს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დაარსებულია 1918 წელს) არის ერთადერთი, სადაც ჯერ კიდევ შემორჩენილია უურნაკისტიკის რუსულენოვანი მიმართულება. საქართველოს თითქმის ყველა უნივერსიტეტში სწავლება მიმდინარეობს მშობლიურ ქართულ ენაზე, გარდა რამოდენიმე კერძო უმაღლესი სასწავლებლისა, სადაც სწავლა ქართულსა და ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. და ჩვენ, რუსული სექტორი, ვართ კმაყოფილები რომ გვაქვს ბაკალავრიატის აკრედიტირებული პროგრამა, რომელიც გამოცდილი და პროფესიონალი კადრებითაა დაკომპლექტებული. დაბალი ანაზღაურება ხდება დაბრკოლება (PHD) ხარისხი პირებისათვის, რათა ლექციები ჩაატარონ უნივერსიტეტში. თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ ვებრძოლოთ ამ პრობლემას და აღვზარდოთ პროფესიონალები. ერთ-ერთი ჩვენი კურსდამთავრებული მარიანა ასანიძე დაინტერესებულია დოკუმენტალური ფილმებით. ის ფლობს ინფორმაციას თქვენი მუშაობის სპეციფიკაზე და გთხოვთ, რომ მან, როგორც ერთადერთმა რუსულენოვანმა მაგისტრმა, სტაჟირება გაიაროს თქვენს არხზე. მას დამთავრებული აქვს მოსკოვში გიმნაზია და საშუალება აქვს იცხოვროს რუსეთში. აღნიშნულმა სტაჟირებამ საშუალება უნდა მისცეს გაიღრმავოს ცოდნა დოკუმენტურ კინო ინდუსტრიაზე. ვისურვებთ პროფესიულ წარმატებას და იცოდეთ რომ თქვენს არხს

თვალყურს აღევნებენ და აფასებენ. P.S. ყოველ სასწავლო სემესტრში ერთხელ ჩვენ გამოვცემთ საგანმანათლებლო ვაშეტს, რომელსაც მარიანა ვადმოვცემთ.

თსუს ცოცხალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი და ჟურნალისტიკის რუსულენოვანი პროგრამის ხელმძღვანელი

ირინა ბიჭიკაშვილი».

ჩემი სტაჟირება „Russia24“-ზე გაგრძელდა თვენახევარი და ამ პერიოდის განმავლობაში მონაწილეობა მივიღე ორი დოკუმენტური ფილმის გამოშვებაში. ერთ-ერთი პირველი იყო ეკატერინა სანდერსის ფილმი „ალკოჰოლიზმზე“ სადაც მაყურებელმა დაწვრილებით შეიტყო „Palcohol“-ზე. აღნიშნულ ლინკზე თქვენ შეგიძლიათ იხილოთ სრული ფილმი.

<https://www.vesti.ru/videos/show/vid/736041/>.

სტაჟირების გავლის შემდგომ მე კავშირი არ დამიკარგავს არხთან. ჩვენ ერთმანეთს შხვდით 2018 წლის 3 მაისს, როცა ვადამლები ჯგუფი მუშაობდა დოკუმენტურ ფილმზე ემიგრაციის შესახებ. ფილმის დეტალებზე დაწვრილებით ინფორმაციას მოგანვდით ჩემს ნაშრომში, მას შემდეგ, რაც ფილმი ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოების თართო ჯგუფისათვის. აღნიშნულ ლინკზე თქვენ შეგიძლიათ იხილოთ სრული ფილმი.

<https://www.vesti.ru/videos/show/vid/757203/>

ლიტერატურის მიმოხილვა

Soft-Power-ის კონცეფციის შემოქმედად მიჩნეულია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ ნაი (*Joseph Nye*). «Soft-Power» - ეს არა მხოლოდ საკუთრივ გავლენაა, არამედ მიმზიდველობაც (*«Attractive power»*). რბილი ძალის რესურსებად შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველაფერი, რაც შთააგონებს და მიიზიდავს პოტენციურ მიმღებს სათანადო ზემოქმედების წყაროსკენ, რითაც საშუალება ეძლევა რბილი

ძალის სუბიექტს (ანუ იმას, ვინც აკონტროლებს) მიაღწიოს სასურველ შედეგს. (Най, Джозеф С. (2004). Мягкая сила. Слагаемые успеха в мировой политике. Нью-Йорк: Паблик აფფერზ, – С.26).

რბილი ძალის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის მისი თვარღობითად უფრო ნაკლები დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მთავრობაზე, რის გამოც ხელისუფლებას უფრო მეტად უჭირთ „რბილი ძალით“ მანიპულირება. (Най, Джозеф С. (2004). Мягкая сила. Слагаемые успеха в мировой политике. Нью-Йорк: Паблик აფფერზ, – С.33).

ადამიანების განსაზღვრულ წრეს ეს იდეა მაშველ იდეად მოეჩვენა. საზოგადოება ჯერ კიდევ არ დაშორებოდა მოდერნის ეპოქის ღირებულებებს, ნელ-ნელა, მკვეთრი მოძრაობების გარეშე ყალიბდებოდა პოსტმოდერნიზმის ეპოქა, რომელმაც შესთავაზა კაცობრიობას რბილი ძალის გამოყენება.

ტექნოლოგიურმა რევოლუციამ, შემდეგ კი ამ სფეროში განხორციელებულმა გარღვევებმა „საინფორმაციო აფეთქებასთან“ მიგვიყვანეს. ინფორმაციით გაჯერებულობამ ყურადღების დეფიციტი გამოიწვია. აქტიური აუდიტორია გაოგნებულია ინფორმაციის მოცულობით, რომლის გაგებაც ხანდხნ საკმაოდ რთულია.

ჯოზეფ ნაი ვარაუდობს, რომ სწორედ „ყურადღებაა“ ის დეფიციტური რესურსი და არა ინფორმაცია. ძალა იმის მხრეს იქნება, ვინც შეძლებს ღირებული ინფორმაცია გაარჩიოს ფონური ხმაურისგან. რბილი ძალის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წყარო და გადამწყვეტი რესურსი იქნება ნდობა გამომცემლებისა და ინტერპრეტატორების მიმართ. რეპუტაცია დღეს უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე გუშინ იყო, სწორედ ნდობის მოსაპოვებლად ან მის დასაკარგად იმართება დღეს პოლიტიკური ბრძოლები. მთავრობები არა მხოლოდ ერთმანეთს ეჯიბრებიან, არამედ პაექრობაში შედიან რბილი ძალის ნებისმიერ მატარებელთან, მათ შორის საახლამბებოი გამოცემებთან, კორპორაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან და სხვ. (Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.183).

სკეპტიკოსებმა უკვე უარყვეს და ჩამოწერეს რბილი ძალა, როგორც ერთ-ერთი საუცხოო სამეცნიერო იდეა, რომელმაც დროით გამოცდას ვერ გაუძლო, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის სფეროში.

რბილი ძალის კონცეფციას წინ „კულტურულ-იდეოლოგიური ჰეგემონიის“ კონცეფცია უძღვოდა, რომელიც 1930-40-იან წლებში იტალიელმა ფილოსოფოსმა ანტონიო გრამშიმ ჩამოაყალიბა თავის „ციხის ჩანაწერებში“.

ჯოზეფ ნაიმ ყურადღება სწორედ გრამშიის კონცეფციის უარყოფას და უგულვებლყოფას მიაპყრო. მაგალითად, იმავე ნაის აზრით, ზოგიერთ ანალიტიკოსს რბილი და ხისტი ძალის განსაზღვრისას განსხვავება მათ შორის რელიგმსა და იდელიგმს შორის განსხვავებამდე დაჰყავს. მათთვის რბილი ძალა დიდად არ განსხვავდება იმ მიმზიდველი ტერმინისგან, რომელიც საერთაშორისო ლიბერალურ პოლიტიკაში გამოყენებული რამდენიმე პრინციპის აღსაწერა შეიქმნა. 1939 წელს ცნობილმა ინგლისელმა რეალისტმა ე.ჰ. კარმა საერთაშორისო ძალა სამ კატეგორიად დაჰყო: სამხედრო ძალად, ეკონომიკურ ძალად და ძალაუფლებად საზოგადოებრივ აზრზე. თანამედროვე ნეორეალისტებმა კი ამ ნიუანსებიდან ბევრი რამ დაკარგეს, ისინი ცდილობდნენ ძალისთვის უფრო მეტად ინსტრუმენტის ფუნქცია მიენიჭებინათ. ეს იყო ე.წ. „რკინა-ბეტონის“ შეცდომა, ძალა გაზომვად მატერიალურ რესურსებამდე იქნა გამარტივებული და დაყვანილი.

მაგრამ მითის მთხველობა რბილი ძალის ვალუტა ხდება, ამიტომაც ვხედავთ, რომ დღევანდელი საინფორმაციო სივრცე სიცარიელეს ვერ იტანს, რომ ეს სიცარიელე აუცილებლად უნდა იქნას შემწნეული და შევსებული. ჯოზეფ ნაი გვთავაზობს გარემოზე ზემოქმედების სხალ კონცეფციას, პროპაგანდისტული ინფორმაციის გარეშე. თანამედროვე მედიასამყარომ უარი უნდა თქვას „მესამე რაიხის ენაზე“ და გადავიდეს პოზიტიური ხატების შექმნაზე ჯანსაღი კონკურენციის გზით.

Abstract

The post-industrial (digital) era gave rise to a special climate in the world order. If earlier inter-ethnic, interstate and inter-Union strife was resolved through diplomatic, military and political discussions against the background of a powerful deterrent of nuclear weapons and the generic human instinct – the instinct of self-preservation, today everything is upside down. There was a formation of people consciously going on self-explosion, to death for the sake of a fictitious super-idea. Until diplomatic exhortations it does not reach, the score is ruled by a "fake" industry. For the sake of discrimination of any country, its leader, its traditions and values, a whole clip of invented news, revelations, confirmations, appeal to public opinion is created. World public opinion is shaken, the leaders of the States shrug, the United Nations helplessly conducts the consideration, the verdicts have no force. The world went crazy. In the digital world of manipulative actions surprise you with its efficiency. Because of the actions of any radical organization many countries, both nuclear and non-nuclear, will be involved in the world war. What can be opposed to chaos. A sensible word? In the second half of the

twentieth century American political scientist Joseph Nye put forward the idea of using "soft power" – "Soft-Power": the power of culture, art, conversation, tourism, etc. Someone, it seemed salutary. Society has not yet completely departed from the values of the modern era, the era of postmodernism was formed smoothly, without sharp movements, which suggested the use of soft power to save humanity.

Subject of study

Does the concept of "Soft-Power", in other words, "soft power", first introduced into circulation by the American political scientist Joseph Nye, an attempt to replace "Hard-Power", thereby simultaneously recreating and raising "utilitarianism"? Yes, absolutely. It sounds like a sentence, but some analysts see soft power in the 21st century as cultural imperialism. In contrast to Mao Zedong, a rifle no longer gives birth to power.

"Soft power" is about making others want the results you want. However, it is "not the same as impact or influence, "soft power" - more than just persuasion, persuasion or the ability to push, to do anything with arguments, although all these are important elements of this force. "Soft power" is also the ability to attract, and attraction often leads to mutual understanding. Simply put, in behavioral terms soft power is attractive power." (Nye, Joseph S. Soft power. Components of success in world politics [Text] / Joseph S. Nye. – New York: Public Affairs, 2004. - P. 19). Joseph Nye considers three components by which the state is able to influence society: (a) culture, as mentioned above, (b) behavioural values (not only their Declaration but also their adherence), and (c) foreign policy as such. (Nye, Joseph S. Soft power. Components of success in world politics [Text] / Joseph S. Nye. – New York: Public Affairs, 2004. – P. 51).

Is it possible to link the three components of "soft power", based on the theme of the master's thesis, documentary/chronicle? Naturally, the answer is not obvious, but in the following chapters of my work, the documentary will appear as a "seductive and flexible media product", which modifies the effect of political mass culture.

Object of study

The production of conveyor documentary films, representing a mixture of material realism, objectivism in all its manifestations, is also designed for commercial interest in general. In the consumer industry, the final production of film products can be divided into two film products. The first film product-documentary or non-fiction films, is a completely separate phenomenon of cinema. A British and Canadian documentary filmmaker, John Grierson defined non-fiction cinema as "the creative

development of reality." Reality documentary reality created by a team of documentary filmmakers such as Robert Flaherty, Joris Ivens, agnès Varda, Jean Rusch, Robert Frank, William Klein, Almost, Jacopetti, Burt Hanstra, Fredrick Wiseman, Erro, Morris, Terry Zwigoff and other Paintings of the above Directors carry the author's view with "individual focus". The second film product is documentary or non-fiction films as part of the media culture. "Information giants", in particular, public television forms a certain picture of the world, with the help of the same documentary film, and at the same time appealing to the mass consciousness... Based on the above, "Soft-Power" is not only the actual impact, but also "attractiveness" ("attractive power"). The resources of "soft power" are all that "inspires and attracts" to the source of the corresponding influence, allowing the one who controls it to achieve the desired result. (Nye, Joseph S. Soft power. Components of success in world politics [Text] / Joseph S. Nye. – New York: Public Affairs, 2004. - P. 26).

The most important characteristic of" soft power "is its relatively more visible independence from the state and government of the country, so the authorities are relatively difficult to manipulate"soft power"...

შინაარსი

I.	ანოტაცია	2-15
II.	შესავალი	14-15
III.	თავი პირველი. პროპაგანდა VS Soft-Power	15-23
IV.	თავი მეორე. Soft-Power?	23-30
V.	თავი მესამე. საზოგადოებრივი მაუწყებლის როლი ინფორმაციულ საუკუნეში.	30-41
VI.	თავი მეოთხე. დოკუმენტური კინო/ქრონიკა, როგორც „Soft-Power“- ის ინსტრუმენტი	41-58

<i>VII.</i>	<i>თავი მეხუთე. საზოგადოებრივი მუწყებლის არქივი</i>	<i>58-77</i>
<i>VIII.</i>	<i>დასკვნა</i>	<i>77-78</i>
<i>IX.</i>	<i>ბიბლიოგრაფია</i>	<i>78-79</i>
<i>X.</i>	<i>დანართი</i>	<i>79</i>

II. შესავალი

ინფორმაციულ ეპოქაში სულ უფრო იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც აქტიურად გეგმავენ და თავიანთ ცხოვრებაში იყენებენ თვითგამოხატვის თავისუფლებას. ღირებულებები, რომლებიც ამ ჯგუფის წევრ ინდივიდებს აერთიანებს, ჯობევ ნაის აზრით, შეიძლება გახდეს რბილი ძალის საფუძველი, რომელიც მრავალი მიმართულებით იმოქმედებს - როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის გარეთ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რბილი ძალის რესურსებად შეიძლება იქცეს კულტურა, მატერიალური ღირებულებები, კანონიერი პოლიტიკა, სახელმწიფოს პოზიტიური შინაგანი მოდელი, წარმატებული ეკონომიკა და პროფესიული სამხედრო ძალა. ეს

რესურსები განსაკუთრებულად გამოიყენება რბილი ძალის მიზნებისთვის. ამ საგანგებოდ ჩამოყალიბებულ რესურსებში შედიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურები, საიმფორმაციო სააგენტოები, დიპლომატიურისამსახურები, სახალხო დიპლომატია, გაცვლითი პროგრამები, დახმარების პროგრამები, სასწავლო პროგრამები და მისთანანი. საგანგებოდ შექმნილი რესურსები გულისხმობენ პოლიტიკური ინსტრუმენტების ფართო ასორტიმენტს, მაგრამ მათი ზემოქმედების შედეგი - პოზიტიური თუ ნეგატიური - ზემოქმედების ობიექტებზე დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე, საკუთრივ ობიექტზე და ძალისმიერი მეთოდების რბილ მეთოდებად გარდაქმნის ხარისხზე.

რესურსები (კულტურა და სხვ.) - პოლიტიკის ინსტრუმენტები (თვისებები) - პროფესიონალიზმი ტრანსფორმაციის სფეროში - ობიექტის საპასუხო რეაქცია (დადებითი/უარყოფითი) = შედეგები (ზოგადი ან კონკრეტული).

მოცემული „რბილი ძალისგან“ მიღებული შთაბეჭდილება შეიძლება მოჩვენებითი იყოს (როგორც ეს ხდება პროპაგანდის ზოგიერთი ნაირსახეობის გამოყენების შემთხვევაში), მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზემოქმედების ობიექტს სჯეროდეს მისი და მასზე რეაქცია ჰქონდეს - დადებითი ან უარყოფითი. (Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.178).

III. თავი პირველი

პროპაგანდა VS Soft-Power

რაშია განსხვავება მეორე მსოფლიო ომის დროინდელ პროპაგანდასა და რბილ ძალას შორის?

მეორე მსოფლიო ომის დროინდელი პერიოდის ეფექტური პროპაგანდის წესების შესახებ გვიამბობს გერმანელი ფილოლოგი, მწერალი და ჟურნალისტი, ნაცისტური გერმანიის ტოტალიტარული აზროვნებისა და ენის მკვლევარი ნიგნში „LTI. მესამე რაიხის ენა“ ვიკტორ კლემპერერი. მესამე რაიხში შექმნილი იყო იმპერიული პალატა კულტურის საქმეებში, რომელსაც აკონტროლებდა სახალხო განათლებისა და პროპაგანდის სამინისტრო ჰებელსით სათავეში. ეს პალატა შვიდ ქვეპალატას აერთიანებდა: პრესის, რადიომაუწყებლობის, კინემატოგრაფის, თეატრის, ლიტერატურის, მუსიკის და სახვითი ხელოვნების საქმეებისა. წარსულის რეკონსტრუქციის მიზნით და პროპაგანდის ფენომენის უკეთ გასაგებად მოვიხმობ რამდენიმე ციტატას კლემპერერის ნიგნიდან.

«თუმცა კაცი, სახელად იოზეფ გებელსი, რომელიც მესამე იმპერიის ენას განაგებდა, დაინტერესებული იყო, რომ შხამში სრულად შენარჩუნებულიყო მისი მომწამვლელი და განმგმირავი ძალა, ხოლო სიტყვის გაცვეთა აღიქმებოდა როგორც შინაგანი სისუსტის დასტური. და გებელსი იძულებული გახდა, აბსურდამდე მისულიყო: მან სცადა ტემპერატურა წარმოედგინებოდა ზღვარამდე აენია. ის წერდა რაიხში: სიტუაციას მხოლოდ ველური, აულაგმავი ფანატიზმი გადაარჩენს, ეს ციტატა მეტყველებს მოცემული სიტყვის (ფანატიზმის) სრულ დასვეთზე. ამ სიტყვებამდე ოთხი თვით ადრე ეს სიტყვა დიდების მწვერვალზე იმყოფებოდა, უმაღლესი დიდებისა, რომლის წარმოდგენაც კი მესამე რაიხში შეიძლებოდა, - სამხედრო ძალაუფლების. განსაკუთრებით საინტერესო იყო მიღწევები იმაზე, რამდენად და როგორ იცვლებოდა ოფიციალური სამხედრო ცნობების (უპირველესად ფრონტზე არსებული ვითარების ამსახველი ანგარიშების) ტრადიციულად საქმიანი და თავმომწონედ მშრალი ენა გებელსის პროპაგანდის გაბუქებული სტილით. ზედსართავი „ფანატიკური“ პირველად იქნა გამოყენებული როგორც საქები ეპითეტი გერმანიის თავდადებული პოლკების მიმართ“. (Виктор Клемперер. (1998). LTI. Язык третьего рейха. Записная книжка филолога. Пер. с нем. А.Б. Григорьева. — М.: Прогресс Традиция. — С.41).

**კიდევ ერთი ეპიზოდი ვიქტორ კლემპერერის წიგნიდან ცხადად და თვალნათლივ გვიჩვენებს
სიტყვა „პროპაგანდის“ არსს.**

„იოზეფ გებელსი საზეიმოდ აღნიშნავს: „უმსხვილესი პროპაგანდისტული აქცია ერის
გამოღვიძების დღის აღსანიშნავად დეტალურად არის დამტკიცებული. იგი მოიცავს მთელ
გერმანიას, როგორც საუცხოო სანახაობა“. აქ სიტყვა „სანახაობა“ გაიგივებულია ინგლისურ
«show»-სთან, რომელიც თავის თავში გულისხმობს სანახაობით კონსტრუქციას, სცენებს
სანახაობისთვის, აი ის მთლიანად საცირკო სანახაობის გავლენის ქვეშაა, ამერიკული
ბარნუმიადის“. ». (Виктор Клемперер. (1998). *ЛТИ. Язык третьего рейха. Записная книжка
филолога. Пер. с нем. А.Б. Григорьева. — М.: Прогресс Традиция. — С.97).*

პროპაგანდა, რომელიც გადამეტებული ქება და თამვონონება ან ტყუილია, არანაკლებ
ქმედითია, თუკი ადამიანებს ჰყოფნით სიჭიუტე, უსირცხვილოდ გააგრძელონ იგი. მაგრამ
პროპაგანდისა და ზოგადად LTI -ის დიდოსტასის გამოსვლებში თვალნათლივ შეგვიძლია
დავინახოთ, როგორ ადვილად შეეძლო გებელსს შთაბეჭდილების მთლიანობის გამო
ჩაეწრო ტრადიციისა და გრძნობის თავდაპირველი გრძნობა. ამ ტიპის პროპაგანდაში
მთავარი ის იყო, რამდნად ადვილად შეიძლება დაიმორჩილო და მართო ადამიანები
მხოლოდ გრძნობებზე ზემოქმედებით, რაოდენი სიმსუბუქით გარდაქმნიდა გებელსური
პროპაგანდა მძიმე და საბედისწერო აზრით სავსე ცნებას „მარცხს“ თუ გამარჯვებად არა,
ჯარისკაცული სულის ტრიუმფად მაინც. მესამე რაიხი საუბრობს მასების სიბრიყვისა და ამ
სიბრიყვის კულტივირების აუცილებლობოს შესახებ, ისე რომ მასებს დაფიქრების უფლებას
არ აძლევენ. ამის მისაღწევად ძირითად საშუალებად გამოიყენებოდა ერთი და იგივე
გამართლივებული სწავლებების მუდმივი პროპაგანდა, რომელთა წინააღმდეგ გამოსვლა
აკრძალული იყო. (Виктор Клемперер. (1998). *ЛТИ. Язык третьего рейха. Записная книжка
филолога. Пер. с нем. А.Б. Григорьева. — М.: Прогресс Традиция. — С.160-166).*

ვიქტორ კლემპერერის წიგნის ეპიგრაფად გამოტანილია როზენცვაიგის სიტყვები იმის
შესახებ, რომ ენა „უფრო მეტია, ვიდრე სისხლი“. ვიქტორ კლემპერერი ეყრდნობა გ.ჩ.

ჰუსეინოვის სტატიას „ტყუილი როგორც ცნობიერების მდგომარეობა“, რომლის დედააზრი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრული (ჩანათვიქრით - მატყუარა) სიტყვების სისტემით ოპირება და ადამიანების იზოლაცია სხვა სისტემებისგან ხელს აძლევს იდეოლოგიებს, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანების საზოგადოება მორჩილ ჯოგად აქციონ.

შესაძლოა, ვინმესთვის გებელსური პროპაგანდა მხოლოდ იდეოლოგიური კლიშე იყოს, თუმცა მეორე მსოფლიო ომისდროინდელი „შავი პროპაგანდა“ პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ხისტი ფორმაა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საზოგადოებრივი მასობრივი ცნობიერების ჩიხში შეყვანა არასპეციფიკური ზემოქმედების, დარწმუნების ინსტრუმენტების გამოყენებით: დაშინება, ემოციური პრესი, აგრესიული ემოციური მდგომარეობების ინიცირება და წახალისება, „ტვინის გამორეცხვა“ და ა. შ.

მხოლოდ რბილი ძალის პროცესის ანალიზისას ამერიკელი პოლიტოლოგი ჯოზეფ ნაი გამოჰყოფს ორი ტიპის ცვლილებას ძალაში: ძალის გადაცემა და ძალის „დამტვერვა“. არსებითად, „ძალის დამტვერვა“ პროპაგანდის უფრო ინოვაციური „რაკურსის“ გამოვლინებაა. ავტორის თვალთახედვით, ჩვენს ინფორმაციულ ეპოქაში ყველა სახელმწიფოს პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ სულ უფრო მეტი მოვლენა ხდება ყველაზე გავლენიანი სახელმწიფოების კონტროლს მიღმა (ძალის გადასვლა ერთი დომინანტი სახელმწიფოდან მეორეზე). **ეს კი ნიშნავს, რომ მსოფლიო პოლიტიკა აღარ არის მხოლოდ მთავრობების პრეროგატივა.** ცალკეული მოქალაქეები და ცალკეული კერძო ორგანიზაციები - დანყებული კორპორაციებით და დამთავრებული არასამთავრობო ორგანიზაციებით ან ტერორისტული დაჯგუფებებით - იღებენ შესაზღვებლობას უშუალო მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკაში. ინფორმაციის გავრცელება კი ნიშნავს, რომ ეს ძალა სულ უფრო ფართოდ გავრცელდება, არაფორმალური ქსელები კი შეარყევენ ტრადიციული სამოხელეო აპარატის მონოპოლიას. თავის წიგნში ჯოზეფ ნაი მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს კაცობრიობის გლობალურ პრობლემას - ტერორიზმს. ჯოზეფ ნაისთვის ტერორიზმი - ძალადობის გამოყენების მეთოდია, რომელიც თავისი ფესვებით ღრმად მიდის

ისტორიაში. მე-19 საუკუნეში ტერორს მიმართავდნენ ანარქისტები და სხვა ტრანსნაციონალური რევოლუციონერები, რომლებმაც რამდენიმე სახელმწიფოს მეთაური მოკლეს, მეოცე საუკუნეში პირველი მსოფლიო ომი ნაწილობრივ იმ მკვლელის გამო დაიწყო, რომელიც ტერორისტად იქცა. დღეს სიახლედ განიხილება ის ფაქტი, რომ ტექნოლოგია ფსიქიკურად ავადმყოფ ინდივიდუუმებსა და დაჯგუფებებს ხელთ აძლევს დამანგრეველ შესაძლებლობებს, რომლებსაც უნინ მხოლოდ სახელმწიფოები ფლობდნენ. სწორედ ამ მიზეზის გამო, ზოგიერთი ანალიტიკოსი ტერორიზმს მიიჩნევს ომის პრივატიზაციის ფორმად. **უფრო მეტიც, ტექნოლოგიებმა თანამედროვე საზოგადოების რთული სისტემები უფრო მონყვლადი გახადეს ფართომასშტაბიანი შეტევებისთვის.** ისლამისტი ტერორისტების ახალი თაობა აღიღებს მე-7 საუკუნის ისლამს, მაგრამ სარგებლობს 21-ე საუკუნის ინტერნეტით. ტერორიზმი, როგორც თეატრი - მაყურებლის შეჭიბვება ხდება. ტერორისტები არ არიან ყველაზე ძლიერი მოთამაშეები ახალ ტრანსნაციონალურ აქტორებს შორის. ყველაზე მსხვილი ქვეყნებიც კი, რომლებიც შთამბეჭდავ ხისტ ძალას ფლობენ, - მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, იძულებულნი არიან, არენა ახალ მოთამაშეებს გაუყონ, და აწყდებიან დიდ პრობლემებს თავისი საზღვრების კონტროლის მხრივ. კიბერსივრცე ვერ ცვლის გეოგრაფიულ სივრცეს და არ აუქმებს სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მაგრამ ფეოდალიზმის პერიოდის საქალაქო ბაზრობების მსგავსად, ის ტანიაარსებებს გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ სივრცესთან და დიდად გაართულებს 21-ე საუკუნის სუვერენული სახელმწიფოს ან სუპერსახელმწიფოს გაგებას. *(Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.197-208).*

„რბილი ძალის“ გამოყენების მაგალითი

21-ე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე რეზონანსული ისტორია ქიმიური იარაღის გამოყენების შესახებ სირიის ქალაქ დუმაში. როგორც გადმოსცემს BBC News/Русская служба, ქალაქ დუმაში სავარაუდო ქიმიური შეტევის შემდეგ, სირიულ, რუსულ და ირანის სახელმწიფო

პრესაში კვლავ აქტუალური გახდა ბრალდებები მაშველების წინააღმდეგ ორგანიზაციიდან „თეთრი ჩაფხუტები“: თითქოს ისინი ახდენდნენ მტკიცებულებების ფალსიფიკაციას ასადის ჯარების წინააღმდეგ და მუშაობდნენ დასავლეთსა და ტერორისტებზე.

გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ სტატიიდან

<https://www.bbc.com/russian/features-43787135>

...რა არის ცნობილი ამ ორგანიზაციის შესახებ?

... "თეთრი ჩაფხუტები" (ხანდახან მისი სახელწოდება ითარგმნება როგორც „თეთრი კასკები“) იმ რამდენიმე ორგანიზაციის შორის იყვნენ, რომლებმაც ადგილებიდან გადმოსცეს მომწამვლელი ნივთიერებების სავარაუდო გამოყენების შესახებ ალაქ ღუმაში 7 აპრილს...

ასადის სირიამ და რუსთმა განაცხადეს, რომ მტკიცებულებები ქიმიური თავდასხმის შესახებ, მათ შორის მონამლული ბავშვების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალები ფალსიფიცირებული იყო...

...სირიაში სამოქალაქო ომის წლებში ბაშარ ასადს დაქვემდებარებულ მედიასაშუალებებში, ასევე რუსეთის, ირანის და რამდენიმე სხვა სახელმწიფოს მედიაში გამოქვეყნდა ასობითა და ათასობით პუბლიკაცია (ხშირ შემთხვევაში, ისინი ერთმნეთს იმონებდნენ როგორც წყაროს), რომლებიც ბრალს სდებდნენ „თეთრ ჩაფხუტებს“ მტკიცებულებების ფალსიფიკაციაში - იმ მასალებისა, რომლებიც თითქოს უტყუარად გადმოსცემდნენ და მონაობდნენ ასადისა და რუსეთის ავიაციის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას, ასევე ქიმიურ თავდასხმებს, ბევრ შემთხვევაში ფატები სხვა დამკვირვებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციის მიერაც იყო დამონმებული...

...თვითონ „თეთრი ჩაფხუტები“ ამ ბრალდებებს უარყოფენ - ისევე, როგორც სხვა ბრალდებებს - უცხოელებსა და ტერორისტებზე მუშაობას...

...«[ბაშარ ასადი და რუსეთი] უარყოფენ ნებისმიერ მასობრივ მკვლელობას, რომლებიც მათ ჩაიდინეს, ისინი ცდილობენ დაამახინჯონ რეალობა და სიმართლე, რომელსაც ჩვენ გადავცემთ. ისინი ესწრაფიან, რომ ჩვენ ადვილზევე მოგვკლან, ჩუქრი მოგვცხონ ჩვენ პრესაში ტროლინგისა და პროპაგანდის მეშვეობით. და ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვრეაგირებთ ყველა მსგავს შემთხვევაში, ვცდილობთ, ვაჩვენოთ მსოფლიოს, რა მოხდა სინამდვილეში; - განაცხადა ორშაბათის ინტერვიუში ბი-ბი-სი-სთან ამარ ალ-სალმომ, „თეთრი ჩაფხუტების“ მმართველობის წევრმა...

თუკი მკითხველმა ყველაფერი ზემოჩამოთვლილის შემნდეგ ააგო ასოციაციური რიგი და სიტყვა „პროპაგანდა“ „საჯარო/სახალხო დიპლომატიით“ შეცვალა, შედეგაბ ხომ ადამიანებით მანიპულაციის კიდევ ერთ სისტემას მიიღებდა? ახალ პირობებში, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ღირსებების წინ წამოწევა და პოპულარიზაცია კიდევ უფრო ეფექტური უნდა იყოს, ვიდრე მომაბეზრებელი უხეში პროპაგანდა. ჯობიერ ნაი ირწმუნება, რომ სკეპტიკოსები, რომლებიც ტერმინს „საჯარო/სახალხო დიპლომატია“ განიხილავენ როგორც ტერმინი პროპაგანდას“ ევფემისტურ ვარიანტს, დიდ შეცდომას უშვებენ. უბრალო პროპაგანდა კონტრპროდუქტიულია საჯარო დიპლომატიის ფუნქციაში, საჯარო დიპლომატია არ შემოიფარგლება მხოლოდ სარეკლამო კამპანიებით. ინფორმაციის გადაცემა და დადებითი სახის/ხატის შექმნა წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს, თუმცა სახალხო დიპლომატია თავის თავში მოიცავს ასევე ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, რომლებიც ხელს უწყობენ სამთავრობო პოლიტიკისთვის ხელსაყრელი ვითარების შექმნას. მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის-ის ცენტრალიზებული მიდგომა საჯარო დიპლომატიისადმი. მთავრობებს ყოველდღიურად უწევთ მათი პოლიტიკის

არასწორი ინტერპრეტაციების გამოსწორება, ასევე უფრო ხანგრძლივი დატვირთვის მქონე სტრატეგიული შეტყობინებების გავრცელება.

მის-ის მიდგომის მთავრი ძალმოსილება მდგომარეობს მათ ხელმისაწვდომობაში პუბლიკის მხრიდან და ასევე შესაძლებლობაში, თვითონ, თავიანთ წიაღში წარმოშვან საზოგადოებრივი გაგება და აავონ სამოქმედო პროგრამები. (Най, Джозеф С. (2014).

Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.184-189).

ზესახელმწიფოები ცდილობენ, გამოიყენონ თავიანთი კულტურა და ეროვნული იდეები რბილი ძალის შესამნელად, რათა გაიუმჯობესონ იმიჯი, თუმცა ამგვარად შექმნილი იმიჯის გაყიდვა არ არის ადვილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა სიტყვები და იდეები არ ემთხვევიან შინაგან რეალიებს.

ამერიკელი პოლიტოლოგი ჯოზეფ ნაი თავის წიგნში ჩინეთის მაგალითზე წარმოაჩენს რბილი ძალის ტაქტიკურ შემადგენელს:

«1990-იანი წლების დასაწყისიდან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ასობით კვლევა და სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა რბილი ძალის შესახებ. ეს ტერმინი ჩინეთის ოფიციალურ ლექსიკონში შევიდა. 2007 წლის 15 ოქტომბერს ჩინეთის კომუნისტური პარტიის მე-17 ყრილობაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა ხუ ცზინტაომ განაცხადა, რომ ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ უნდა გააძლიეროს კულტურა როგორც ქვეყნის რბილი ნაწილს განუყოფელი ნაწილი... ფაქტორი, რომელიც იმოქმედებს ჩინეთის მზარდი მნიშვნელობის სასარგებლოდ ეროვნული ძლიერების ერთობლივ სტრუქტურაში“. (Най, Джозеф С. (2014).

Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.158).

«2009-2010 წლებში ჩინეთმა 8,9 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა „საზღვარგარეთ ქვეყნის იმიჯის დადებითი პროპაგანდის სამუშაოებში“, ამ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი იყო 24 საათის განმავლობაში უწყვეტად მაუწყებელი არხი სინხუა, რომელსაც საერთაშორისო ტელეკომპანიის „ალ-ჯაზირას“ ანალოგიით უნდა ემაუწყებლა.

(Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.159).

ასევე 2009 წელს პეკინმა გაასაჯაროვა თავისი გეგმები მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ გლობალური მედიაგიგანტების განსავითარებლად, რომელთა შორის ჩინეთი მოიაზრებდა: (1) ფინანსურ ინფორმაციაზე პროფილირებულ მედიაგიგანტს, რომელსაც კონკურენცია უნდა გაეწია კომპანია „ბლუმბერგისთვის“; (2) საახალამებო და გასართობი შინაარსის მქონე მაუნწყებელს, რომელსაც „ტაიმ უორნერი“ უნდა დაეჩრდილა და ასევე (3) კინოსა და შემეცნებით სატელევიზიო კონტენტზე გათვლილ გიგანტს, რომელიც „ვიაკომის“ ანალოგიურად იფუნქციონირებდა. **მიზანი კი ერთი იყო: რბილი ძალის გამოყენება სამხედრო ძალის ნაცვლად**. *(Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.160).*

“ჯერ კიდევ 1920-იან წლებში ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი რადიოგადაცემები საჯარო დიპლომატიის მთავარ მოდელად განიხილებოდა. BBC 1922 წელს დაარსდა, ხოლო ტოტალიტარული მთავრობები აუმჯობესებდნენ და ხვეწდნენ მაუნწყებლობასა და კინოს, როგორც 1930-იანი წლების პროპაგანდის ფორმას. მაუნწყებლობა დღესაც ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია რბილი ძალის სტრუქტურაში, თუმცა იაფი ავიარეისებისა და ინტერნეტის ეპოქაში, სამთავრობოთაშორისო და ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების კვალად სახელმწიფოს ხელიდან ეცლება ბევრი ბერკეტი და საჯარო დიპლომატიის კეთება დღითიდღე რთულდება. დმაკავშირებელი ხაზები აღარ არიან სწორხაზოვნები, რომლებიც უნინ ორ მთავრობას აერთიანებდნენ; დღეს ისინი უფრო მეტად ვარსკვლავს ჰგვანან, რომლებიც მრავალ ინსტიტუციას ერთდროულად აკავშირებს ერთმანეთთან: მთავრობებს, საზოგადოებებს, თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს” - ასეთია ჯობიერ ნაის ერთ-ერთი საკვანძო მოსაზრება, რომელიც მთელს მის ნაშრომს ლაიტმოტივად გასდევს.

IV. თავი მეორე

Soft-Power?

როგორც გვარნმუნებს ამერიკელი დიპლომატი და პოლიტიკური მიღვანე, პირველი ქალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანამდებობას იკავებდა, ასევე - შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაეროში მადლენ ოლბრაიტი, თუკი ჩვენს წინაშე დგას ამოცანა, ჩავენდეთ 21-ე საუკუნის მსოფლიოს საქმეებს, უკეთეს გზამკვლევს ვერც კი ვინატრებთ...

მართლაც, ჯობიერ ნაი თავის წიგნში «Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI ВЕК» გვიჩვენებს რბილის ძალის ძალსმოსილებას.

«მიუხედავად იმისა, რომ მე შევიმუშავე კონსეფცია იმ დებატების კვალობაზე, რომლებიც მეოცე საუკუნის დამლევს ამერიკის ძალსმოსილების შესახებ იმართებოდა, რბილი ძალა არ არის ის ელემენტი, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოების კუთვნილებაში უნდა იყოს, ან მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობებს შეეხებოდეს ან მხოლოდ თანამედროვე სამყაროსთვის უნდა იყოს დამახსიათებელი. დემოკრატიულ ქვეყნებში ლიდერები ყოველთვის ეყრდნობოდნენ თავიანთი მიმზიდველობის ძალას იმისათვის, რომ არჩეულნი ყოფილიყვნენ, პრეზიდენტები კი ხშირად დრწმუნებულან, რომ მათი რბილის ძალა უფრო მეტია, ვიდრე ხისტი ძალა. მაგალითად, რბილი ძალის მნიშვნელობა ფართოდ არის აღიარებული საერთაშორისო საქმეების ანალიზში. იგი ასევე ძალიან დიდ გავლენას იძენს ქველმოქმედების სამყაროში. დროთა განმავლობაში რბილი ძალა წარმატებით დაჩრდილავს ხისტ ძალას გრანტების გამოყოფისა და სხვა ფინანსური ოპერაციების მხრივ.. გეიტსის, ფორდის და სხვა საქველმოქმედო ფონდების განკარგულებაში უფრო მეტი რბილი ძალაა, ვიდრე ხისტი ძალა, რაც მათ ბიუჯეტებში გამოიხატებას; - ასეთი კომენტარი გაუკეთა შონ სტენარდ-სტოკტონის სტატიას რბილი ძალის შესახებ ჯობიერ ნაიმ. რბილი ძალა

წარმოვგიდგება როგორც მეცნიერული კონცეფცია, რომელმაც მედიაბაზრის მონინავე პოლიტიკებზე გადმოინაცვლა და რომელსაც სახელმწიფოების მმართველები იყენებენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ფართოდ გამოყენებას, როგორც წესი, თან სდევს კონცეფციის არასწორი ინტერპრეტაცია, არასწორი სინონიმიზება, როცა რბილი ძალა ბევრი რამის კონოტაციად გამოიყენება და მხოლოდ სამხედრო ძალის ანტონიმად განიხილება.

სკეპტიკოსებმა უკვე უარყვეს და ჩამოწერეს რბილი ძალა, როგორც ერთ-ერთი საუცხოო სამეცნიერო იდეა, რომელმაც დროით გამოცდას ვერ გაუძლო, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ რბილი ძალის კონცეფცია შედარებით ახლახანს გაჩნდა, ქცევა, რომელსაც იგი აღნიშნავს, სამყაროსავით ძველია. რბილი ძალის კონცეფციას წინ „კულტურულ-იდეოლოგიური ჰეგემონიის“ კონცეფცია უძღვოდა, რომელიც 1930-40-იან წლებში იტალიელმა ფილოსოფოსმა ანტონიო გრამშიმ ჩამოაყალიბა თავის „ციხის ჩანაწერებში“.

გრამშიმის ერთ-ერთი მთავარი თემა - ჰეგემონიის შესახებ სწავლებაა. ეს არის რევოლუციის ზოგადი (საერთო) თეორიის ნაწილი, რომელიც გრამშიმის ხედვით არსებითად წარმოადგენს სახელმწიფოს მსხვერველს და გადასვლას ახალ სოციალურ და პოლიტიკურ წესრიგზე: ჰეგემონიის თითოეული მიმართება - ეს არის აუცილებლობის მიხედვით პედაგოგიური მიმართება, და იგი თავს იჩენს არა მხოლოდ ერთი ერის შიგნით მის შემადგენელ სხვადასხვა ძალას შორის, არამედ საერთაშორისო და მსოფლიო მასშტაბით: ნაციონალური და კონტინენტური ცივილაზიების კომპლექსებს შორის.

ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ცალკეული ფილოსოფოსის ისტორიული პიროვნება ასევე გამოიხატება მის აქტიურ ურთიერთობებში კულტურულ გარემოსთან, რომლის შეცვლასაც იგი ესწრაფვის, გარემოსთან, რომელიც მასზე უკუმოქმედებს და მუდმივ თვითკრიტიკას აიძულებს, მოქმედებს როგორც მასწავლებელი. ამრიგად, თანამედროვე ინტელიგენციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა პოლიტიკის სფეროში აღმოჩნდა მოთხოვნა ეგრეთ წოდებული „აზრისა და მისი გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნა (სიტყვისა და

შეკრებების)“, რადგანაც მხოლოდ იქ, სადაც ეს პოლიტიკური წინაპირობა არსებობს, მიმართება „მასწავლებელი - მოსწავლე“ ხორციელდება ყველაზე უფრო ფართო გაგებით, და ფილოსოფოსის ისტორიული ტიპი ახალ ტიპად გარდაიქმნება, რომელსაც შეიძლება დემოკრატი-ფილოსოფოსი ვუწოდოთ, ანუ ისეთი ფილოსოფოსი, რომელიც დარწმუნებულია, რომ მისი პიროვნება არ შემოიფარგლება მხოლოდ მისი ფიზიკური ინდივიდუალურობით, არამედ გამოიხატება სოციალურად აქტიურ ურთიერთობებში, რომლებიც ცვლიან კულტურულ გარემოს. (Грамши, А. (1991). Тюремные тетради. Издательство политической литературы. – С. 28).

გრამშის თანახმად, გაბატონებული კლასის ძალაუფლება ნარჩუნდება არა მხოლოდ იძულებით, არამედ თანხმობითაც. ძალაუფლების მექანიზმი - არა მხოლოდ იძულებაა, არამედ დარწმუნებაც. „რამდენადაც ჰეგემონიის აპარატის შექმნა წარმოშობს ახალ იდეოლოგიურ ფორმებს, ახდენს ცნობიერებისა და შემეცნების მეთოდების რეფორმირებას, იმდენად არის იგი შემეცნების აქტი, ანუ ფილოსოფიური აქტი. ანუ, სხვა კროჩეანული ენით რომ ვთქვათ, როცა ინერგება ახალი, ახალ მსოფლმხედველობას მორგებული და მისადაგებული მორალი, ამითვე ინერგება ახალი მსოფლმხედველობა; ანუ ხდება მთელი ფილოსოფიური რეფორმა“. (Грамши, А. (1991). Тюремные тетради. Издательство политической литературы. С. 42).

რუსი პუბლიცისტი და სოციოლოგი სერგეი კარა-მურზა თავის წიგნში «Манипуляция сознанием. Век XXI» უთითებს, რომ კაცობრიობა საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის იმგვარი ტიპის ზღურბლზე დგას, სადაც ბატონობის მთავარ და ტოტალურ საშუალებად ცნობიერებით მანიპულირება იქცევა. ამ წიგნის მიზანი იყო, ისეთი ემპირიული მასალები, სიტუაციები და კონტექსტები წარმოეჩინა, რომ თითოეულ მკითხველს ეგვიქრა ცხოვრების მოწყობის იმ მოდელზე, რომელიც მას ელოდება მომავალში. ანტონიო გრამშის კვალად, რუსი პუბლიცისტი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ძალის თავი და გაბატონებული კლასის ძალაუფლების საფუძველი ჰეგემონიაა, პოლიტიკური წესრიგის სტაბილურობის საკითხუ

და, ამის საპირწონედ, მისი ნგრევის პირობები, ანუ როგორ მიიღწევა ან როგორ ინგრევა ჰეგემონია.

გრამშის აზრით, ჰეგემონიის შენებათა და ნგრევაც მოლეკულარული პროცესია. იგი მიმდინარეობს არა იმდენად როგორც კლასობრივი ძალების შეჯახების პროცესი (გრამში უარყოფდა ამგვარ მეანიცისტურ ანალოგიებს), არამედ როგორც ხილული რამ, მცირე პორციებით, მოსაზრებებისა და განწყობების ცვლილების პროცესი თითოეული ადამიანის ცნობიერებაში. ჰეგემონია ემყარება საზოგადოების კულტურულ ბირთვს, რომელიც თავის თავში მოიცავს წარმოდგენების ერთობლიობას სამყაროსა და ადამიანის, კეთილისა და ბოროტის, მშვენიერისა და ამაზრზენის შესახებ, სიმბოლოებისა და ხატების, ტრადიციებისა და ცრურწმენების, მრავლსაუკუნოვანი ცოდნისა და ეპოქების სიმრავლეს. და ვიდრე ეს ბირთვი სტაბილურია, საზოგადოებაში არსებობს „მდგრადი კოლექტიური ნება“, მიმართული არსებული წესრიგის შენარჩუნებაზე. ამ კულტურული ბირთვისა და ამ კოლექტიური ნების დაშლა რევოლუციის წინაპირობაა.

როცა „ჰეგემონიის კრიზისი“ დამნიფდება და თავს იჩევს „ომის“ სიტუაცია, საჭირო ხდება არა მხოლოდ მოლეკულური ზემოქმედება ცნობიერებაზე, არამედ სწრაფი და მიზანმიმართული ოპერაციები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც ძლიერად ურტყამენ ცნობიერებას, ინვევენ შოკს, რომელიც აიძულებს ადამიანების დიდ მასებს, პასიური პოზიციებიდან აქტიურზე გადაინაცვლონ. გრამში ამ გადასვლას მიიჩნევს ჯაჭვურ რეაქციად (სინთეზების ჯაჭვი) და სახელად უწოდებს კათარზისს - მსგავსად ტრაგიკული წარმოდგენის მოქმედებისა თეატრში, რომელიც ასხივოსნებს მაცურებლების კოლექტიურ ცნობიერებას. თუკი ფილოსოფიის ენიდან ომის ენაზე გადავალთ, გრამში წერს: „სამხედრო ძალების თანაფარდობის ქვეშ უნდა გავიგოთ არა მხოლოდ იარაღისა და სამხედრო ჯგუფებების არსებობის ფაქტი, არამედ შესაძლებლობას პარტიისთვის სახელმწიფო აპარატის ნერვული კვანძების პარალიზება გამოიწვიოს“.

ამისთვის პირობების შექმნისთვის აუცილებელია ხანგრძლივი მოლექულური აგრესია კულტურულ ბირთვში. ამგვარი აგრესია არ არის ისეთი ჭეშმარიტების იარაღი, რომელსაც შეეძლებოდა ცნობიერებაში გადატრიალების მოხდენა, ან გასხვიოსმენა. ეს არის „წიგნების, ბროშურების, საჟურნალე და საგაზეთო სტატიების, საუბრებისა და კამათების უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც დაუსრულებლად მეორდებიან და თავიანთი გიგანტური ერთობლიობით ქმნიან ხანგრძლივ ძალისხმევას, რომლისგანაც იბადება კოლექტიური ნება ჰომოგენურობის განსაზღვრული ხარისხით, იმ ხარისხის, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა მივიღოთ ქმედება, კოორდინირებული და ერთდროული დროსა და გეოგრაფიულ სივრცეში“.

ჯოზეფ ნაიმ ყურადღება სწორედ გრამშის კონცეფციის უარყოფას და უგულებელყოფას მიაპყრო. მაგალითად, იმავე ნაის აზრით, ზოგიერთ ანალიტიკოსს რბილი და ხისტი ძალის განსაზღვრისას განსხვავება მათ შორის რელიგმსა და იდელიგმს შორის განსხვავებამდე დაჰყავს. თავისი კონცეფციის არსის გადმოცემისას ჯოზეფ ნაიმ ამტკიცებს, რომ რბილი ძალა არც იდეალიზმის ფორმაა და არც ლიბერალიზმის. **ეს უბრალოდ ძალის ნაირსახეობაა, სასურველი შედეგების მიღწევის საშუალება.** კანონიერება ამ ძალის ერთ-ერთი რეალიაა. კონკურენტული ბრძოლა ლეგიტიმურობის ირგვლივ - ეს არის იმ პროცესისი ნაწილი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ერთ-ერთი მოთამაშისთვის რბილი ძალის შესუსტება ან, პირიქით, გაზრდა. და ეს გარემოება განსაკუთრებით მართებულია 21-ე საუკუნის ინფორმაციულ ეპოქაში.

რბილი ძალის ჩანერა სამთავრობო სტრატეგიაში ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. უპირველესად იმითომ, რომ წარმატება შედეგების სახით უფრო მეტად არის დამოკიდებული თავად ზემოქმედების ობიექტზე, ვიდრე ეს ხისტი ძალის შემთხვევაში მოხდებოდა. მეორეც, პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ შედეგების მიღწევას დიდი დრო სჭირდება, პოლიტიკოსები და საზოგადოება კი მოუთმენლად ელიან, იხილონ თავიანთი მცდელობების ხორცშესხმა. **ესამე, რბილი ძალის ინსტრუმენტარიუმი**

ყოველთვის არ არის მთავრობების სრული კონტროლის ქვეშ. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობები აკონტროლებენ პოლიტიკას, კულტურა და ღირებულებები მაინც უფრო მყარად სამოქალაქო საზოგადოებაშია ფესვგადგმული. შეიძლება აღმოჩნდეს, რომ რბილი ძალა ნაკლებად სარისკო საქმეა, ვიდრე ეკონომიკური ან სამხედრო ძალა, მაგრამ ხშირად უფრო ძნელად გამოსაყენებელია, მისი დაკარგვა ადვილად შეიძლება, ხოლო აღდგენა დიდ დანახარჯებთან და ძალისხმევასთან არის დაკავშირებული.

რბილი ძალა ნდობის ხარისხზეა დამოკიდებული. და როცა მიიჩნევენ, რომ მთავრობები მანიპულაციებით არიან დაკავებული, ინფორმაცია კი მხოლოდ პროპაგანდად აღიქმება, ნდობა ინგრევა. ერთ-ერთი კრიტიკული ხედვის თანახმად, როცა მთავრობები თავს იკავებენ ინტენსიური მანიპულაციებისგან, ამ შემთხვევაში ისინი ფაქტობრივად არ იყენებენ რბილ ძალას, არამედ იყენებენ მხოლოდ დიალოგს. მაშინაც კი, როცა მთავრობები აწყდებიან ნდობის შენარჩუნების რთულ ამოცანას, ამგვარი კრიტიკული ხედვა ჯეროვნად არ აფასებს მიზიდულობის მნიშვნელობას განზიდულობის წინააღმდეგ. საუკეთესო პროპაგანდა პროპაგანდის არარსებობაა.

რასაკვირველია, მართებული არ არის რბილი ძალის ზემოქმედების გადაფასება. ზოგჯერ იმგვარი სიტუაციები წარმოიქმნება, რომლებშიც რბილ ძალას მოქმედების კარგი კოეფიციენტი თითქმის არ გააჩნია. მაგალითად, რბილი ძალა სრულიად გამოუსადეგარია ბირთვული პროგრამების წინააღმდეგ. ზოგიერთი კრიტიკოსი შეცდომას უშვებს, როცა ვარაუდობს, რომ რბილი ძალა - ძალის მდგენელის ფარდობითობის (ანუ ხშირად - ძალის, როგორც ასეთის, უკმარისობის ან არასებობის გამო - საერთოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ ძალად. თუმცა მსგავს კრიტიკას შეიძლება ნებისმიერ ძალასთან მიმართებით შეიძლება წავაწყდეთ. მაგრამ იმ შემთხვევებში, როცა ამა ტუ იმ ქვეყნის მთავრობა შემფოთებულია საარსებო და საბინადრო გარემოს პრობლემებით ან ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მდგომარეობით, როგორებიც არიან, მაგალითად, დემოკრატიის დამკვიდრება, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, ეს სწორედ ის სფეროებია, რომლებშიც რბილ ძალას ხისტ

ძალასთან შედარებით გაცილებით მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს. გლობალურ ინტორმაციულ ეპოქაში, რომლის მთავარი ნიშან-თვისება სწორედ არასახელმწიფო მოთამაშეების წინ წამოწევაა, რბილი ძალა სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ზოგად სამოქმედო სტრატეგიებში.

რბილი ძალის წყაროები

რბილი ძალა განუხრელად ემყარება სამ წყაროს: კულტურას (როცა კონკრეტული კულტურა მიმზიდველი ხდება სხვებისთვისაც), პოლიტიკურ ღირებულებებს (როცა თავად ცხოვრობს ამ ღირებულებების შესაბამისად და ხელმძღვანელობს მათით სხვა ქვეყნებთან მიმართებაში) და საგარეო პოლიტიკას (როცა სხვები ამ პოლიტიკას კანონიერად და მორალურად გამართლებულად მიიჩნევენ).

რბილი ძალის გამოვლინებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რას თქვობს ზემოქმედების ობიექტი, ობიექტები კი არ ნიშნავენ უფრო ნაკლებს, ვიდრე სუბიექტები. მიმხრობა და დარწმუნება სოციალური თანრიგის მოვლენები არიან. რბილი ძალა ის ცეკვაა, რომელსაც პარტნიორები ასრულებენ.

ზოგიერთ სიტუაციაში კულტურა შეიძლება იყოს ძალის მნიშვნელოვანი წყარო. „კულტურა“ ამ შემთხვევაში აღნიშნავს საზოგადოებრივი ქცევის სისტემას, რომლის მეშვეობითაც ჯგუფები ერთმანეთს გადასცემენ ცოდნასა და ღირებულებებს და მრავლობით დონეზე არსებობენ. კაცობრიობის კულტურის ზოგიერთი ასპექტი უნივერსალურია, ზოგიერთს ეროვნული ხასიათი და ბუნება აქვს, ზოგიერთი კი საზოგადოების რომელიმე სპეციფიკური კლასისა თუ შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი. კულტურა არასდროს არის სტატიკური, სხვადასხვა კულტურები ერთმანეთზე განსხავავებულად ურთიერთმოქმედებენ. კულტურა, ღირებულებები და პოლიტიკა არ არის რბილი ძალის ერთადერთი წყარო. ეკონომიკური რესურსებიც შეიძლება იქცნენ როგორც რბილი, ისე ხისტი ძალის წყაროდ. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნან როგორც მიზიდვისთვის, ისე

იძულებისთვის. ზოგჯერ რეალური სამყაროს სიტუაციებში ძნელია გარჩევა იმისა, ეკონომიკური ურთიერთობების რომელი ნაწილია ხისტი ძალა და რომელი - რბილი. სამხედრო რესურსებიც შეიძლება იქცნენ რბილი ძალის წყაროდ.

დიქტატორები ხშირად თხზავენ მითებს დაგეგმილი სტრუქტურული შედეგების უძლეველობის შესახებ და სხვებსაც მიიზიდავენ თავისკენ, ანუ გამარჯვებულთა ბანაკისკენ. ზოგიერთ ადამიანზე მხოლოდ ფიზიკური ძალმოსილება მოქმედებს. როგორც ამბობდა უსამა ბინ-ლადენი, ადამიანებს ძლიერი ცხენები უფრო ხიბლავთ, ვიდრე სუსტები. (Най, Джозеф С. (2014). Будущее власти. Как стратегия умной силы меняет XXI век. Москва: АСТ. – С.152-162).

V. თავი მესამე

სამოგადაეზრივი მაუნყებლის როლი ინფორმაციულ საუკუნეში

შემდგომი მსჯელობა შეეხება მსოფლიო პოლიტიკაში აქცენტების გადატანის აუცილებლობას ხისტი ძალის ენიდან რბილი ძალის ენაზე. ამერიკელი პოლიტოლოგი ჯოზეფ ნაი დარწმუნებული იყო, რომ თანამედროვე მსოფლიოს შავ-ტეთრად აღქმული სურათი მალე დაუთმობდა ადგილს უფრო ფერადოვან სურათს, და ეს ფერადოვანი სურათი ამერიკულ-ევროპულ ურთიერთობებს შეეხებოდა. რბილის ძალის თვალსაზრისით, ევროპა ამერიკის შეერთებული შტატების განსაკუთრებით სერიოზული კონკურენცია. ევროპული ხელოვნება, ლიტერატურა, მუსიკა, დიზაინი, მოდა და სამზარეული დიდი ხანია, მსოფლიოს კეთილგანწყობილი ყურადღების ცენტრშია. ევროპის ბევრ სახელმწიფოს ძლიერი კულტურული მიზიდულობა ახასიათებს: მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ათი ენიდან ნახევარი ევროპული ენებია. ესპანური და პორტუგალიური ენები პირინეის ნახევარკუნძულს ლათინურ ამერიკასთან აკავშირებს, ინგლისური ენა ოფიციალური ენაა ბრიტანეთის

თანამეგობრობაში, ხოლო სუპრანაციონალური ორგანიზაციების დიდი ნაწილი სამუშაო ენად ფრანგულს ირჩევს.

ევროპა შთამბეჭდავია თავისი რბილი რესურსებით:

- საფრანგეთი პირველ ადგილს იკავებს ლიტერატურის დარგში გაცემული ნობელის პრემიის რაოდენობის მიხედვით;
- დიდი ბრიტანეთი პირველია, ხოლო გერმანია მეორე იმ ქვეყნებს შორის, რომლებისკენაც მთელი მსოფლიოს დევნილები და ემიგრანტები ისწრაფვიან თავშესაფრის პოვნის იმედით;
- საფრანგეთი, გერმანი, იტალია და დიდი ბრიტანეთი აღემატებიან ამერიკის შეერთებულ შტატებს თავიანთი მოქალაქეების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლით;
- თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფო თავისი ერთიანი ეროვნული პროდუქტის უფრო დიდი წილს უგზავნის განვითარებად ქვეყნებს, ვიდრე შეერთებული შტატები;
- მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი უფრო მცირე ზომისანი არიან, ისინი საჯარო დიპლომატიაზე იმდენსავე ხარჯავენ, რამდენსაც შეერთებული შტატები.

ცალკე აღებულ არც ერთ ევროპულ სახელმწიფოს არ ძალუძს შეერთებულ შტატებთან პაექრობა მასშტაბების მიხედვით, თუმცა მთლიანობაში ევროპა ფლობს იმავე მოცულობის ბაზრებს, ხოლო მოსახლეობის რიცხოვნობით კიდევ აღემატება ამერიკას. ევროპის გაერთიანება კი თავისთავად იყო რბილი ძალის დიდი მუხტის მატარებელი. ის გარემოება, რომ დღეს ომი ჰიპოთეტურადაც კი დაუშვებელია იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ასწლეულების განმავლობაში ებრძოდნენ ერთმანეთს, რომ მთელი ევროპა მშვიდობისა და კეთილდღეობის ზონად იქცა, მას მთელ მსოფლიოში პოზიტიურ იმიჯს უქმნის.

საკვალიფიკაციო ნაშრომის ძირითადი თეასეულობა მდგომარეობს მცდელობაში, ერთმანეთს დაუკავშიროთ დოკუმენტური ქრონიკალური კინო და რბილი ძალის სამი ძირითადი კომპონენტი.

იქამდე, ვიდრე განვიხილავთ დოკუმენტურ კინოს/ქრონიკას, მიზანშეწონილი იქნება საზოგადოებრივი მაუწყებლობის ფენომენის ახსნა, მისი წამყვანი როლისა დემოკრატიულ საზოგადოებაში, საზოგადოებრივი მაუწყებლობის მნიშვნელობის განმარტება, როგორც (1) სოციალური თანხმობის ფაქტორის, (2) როგორც ეროვნული ერთიანობის ფაქტორის და (3) როგორც ქვეყნის ძირითადი აქტივატორისა და კულტურის გამომხატველისა.

უპირველესად საჭიროა, განვმარტოთ საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახური, როგორც პროფესიული ტერმინი. კერძოდ, დავეყრდნოთ შემდეგ წყაროს: «Служба общественного вещания: Справочник лучших приемов и методов работы», под редакцией Индражит Банержи и Калинга Сеневиратне (Public Service Broadcasting: A best practices sourcebook/UNESCO).

საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახურების როლი

საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახური მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახური შეიძლება გახდეს სასარგებლო ინსტრუმენტი განათლებისა და კულტურის ფართო პოპულარიზაციისთვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაფართოებასა და გაზრდაში, ცოდნის გამრავლებაში, მოქალაქეთა შორის ურთიერთობის გაზრდაში. პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობისთვის, რომელსაც უნდა მივაკუთვნოთ სასოფლო დასახლებების მცხოვრებლები, ასევე წერა-კითხვის უცოდინარნი, რადიო და ტელევიზია რჩება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ყველაზე უფრო ხელმისაწვდომ და ყველაზე უფრო გავრცელებულ საშუალებად.

იუნესკო თანმიმდევრულად გამოდის საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახურის განვითარების მხარდასაჭერად, ასევე იუნესკო იღწვის იმ შინაარსის შენარჩუნებისა და გაღმავებისთვის, რომელიც ემსახურება ადამიანების, როგორც მოქალაქეების და არა როგორც მომხმარებლების, ინტერესებს. შინაარსისა, რომელიც აღწევს მოსახლეობის ყველა ფენამდე, ყველა სპეციფიკურ ჯგუფამდე, რითაც ხელს უწყობს მათ სოციალურ ინტეგრაციას და სამოქალაქო საზოგადოების განმტკიცებას.

იუნესკოს სტრატეგია მიმართულია „საზოგადოებრივი მაუწყებლობის, როგორც უნიკალური სამსახურის, გაძლიერებისკენ, რომელიც წარმოადგენს უნიკალურ დაშვებას ინფორმაციასთან, მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი შინაარსის მეშვეობით, რომელიც ასახავს სამიზნე აუდიტორიების მოთხოვნებს, მოლოდინებსა და პრობლემებს.

იუნესკოს გენერალური კონფერენცია, 32-ე სესია, 2003

რატომ არის აუცილებელი საზოგადოებრივი მაუწყებლობა?

საზოგადოებრივი მაუწყებლობის არსებობის არსი, რომელიც სახლმწიფო და კომერციული კონტროლის მიღმა მდებარეობს, საჯარო სამსახურის ფუნქციების შესრულებაშია, ეს მთელი საზოგადოების რადიო და ტელევიზიისა, რომელიც თითოეულ მიმღებს მიმართავს როგორც მოქალაქეს. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ის სამსახური აადვილებს საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაშვებას და მასში მონაწილეობას. იგი განავითარებს ცოდნას, აფართოებს ჰორიზონტს და ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს, უკეთ გაუგონ საკუთარ თავს, სამყაროს და სხვა ადამიანებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი შეილება, შევადაროთ შეხვედრის ადგილს, სადაც ყველა მოქალაქე სასურველი სტუმარია და თანასწორია. საზოგადოებრივი მაუწყებლობის სამსახური ინფორმაციისა და განთლების ინსტრუმენტია, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომია, მიუხედავდ სოციალური მდგომარეობისა და ეკონომიკური სტატუსისა. მისი მანდატი არ შემოიფარგლება ინფორმაციითა და კულტურული

განვითარებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გააღვიძოს წარმოსახვა და გაართოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამას აკეთებს ხარისხიანად, რითაც იგი კომერციული მაუწყებლობისგან გამოირჩევა და განსხვავდება. მოგების დიქტატისგან თავისუფალი საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა იყოს თამამი, უნდა ეწეოდეს შემოქმედებით ძიებას და მიდიოდეს რისკზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი უწესებს ხარისხის თამასასა და სტანდარტებს სხვა მაუწყებლებისთვის. ბრიტანელი ავტორი, ენტონი სმიტი, ავტორი წიგნისა ბი-ბი-სი-ს შესახებ, რომელიც ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციას საზოგადოებრივი მაუწყებლობის მშობელს უწოდებს, ამბობს, რომ სწორედ საზოგადოებრივი მაუწყებლობა ექცა საუკუნის სოციალური დემოკრატიის მთავარ ინსტრუმენტად. (*Public broadcasting: Why? How? UNESCO/ WRTVC, 2001*)

იმისათვის რომ მივიღოთ სრული და ამომწურავი ინფორმაცია საზოგადოებრივი მაუწყებელზე ვთავაზობთ რამოდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის გამნარტებას საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციებთან დაკავშირებით. შეფასების უმთვრესი კრიტერიუმია თუ რამდენად კარგად ასრულებს ტელეკომპანია მასზე დაკისრებულ მოვალეობა:

- **ხელმისაწვდომობა:** საზოგადოებრივი მაუწყებელი ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ის დემოკრატიული პრინციპებისა და მიზნების შესაბამისად თანაბარ პირობებში ამყოფებს თითოეულ მოქალაქეს შემოსავლებისა და სოციალური სტატუს მიუხედავად. ის ცდილობს ხმა მიანვდინოს თითოეულ მომხმარებელს, რათა მომხმარებელთა წრე გაფართოვდეს.
- **დივერსიფიკაცია:** საზოგადოებისათვის შემოთავაზებული საზოგადოებრივი რადიო და ტელევიზია დივერსიფიცირებული უნდა იყოს სამი მიმართულებით: პროგრამის ტიპი, სამიზნე აუდიტორია და განსახილველი საკითხი. სატელევიზიო ბადე უნდა იყოს მრავალფეროვანი გასართობი თუ ახალი ამბებით დატვირთული. ზოგიერთი

პროგრამა შეიძლება საზოგადოების ვიწრო სექტორებზე იყოს გათვლილი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ამ მრავალფეროვანი პროგრამებით უნდა მოიპოვოს საზოგადოების ნდობა. იგი კონცენტრირებული უნდა იყოს საზოგადოების პრობლემების ანალიზსა და განხილვაზე. უნდა არდსებობდეს პროგრამები, რომლებიც გათვლილია სხვადასხვა ასაკის ადამიანებზე, როგორც ახალგაზრდებზე ასევე ასაკოვან მოქალაქეებზე და მოქალაქეების საჭიროებებზე.

- **დამოუკიდებლობა:** საზოგადოებრივი მაუწყებელი არის ორგანიზაცია, სადაც საზოგადოებრივი აზრები, კრიტიკა თუ მოსაზრებები თავისუფლად უნდა იყოს გამოხატული. ეს კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა საზოგადოებრივი მაუწყებელი პოლიტიკური თუ კომერციული ორგანიზაციების გავლენისაგან თავისუფალია. როცა მაუწყებელი პოლიტიკური პარტიის გავლენის ქვეშაა მოქცეული ის ნდობას კარგავს საზოგადოების თვალში. ანალოგიურად როცა მაუწყებელს ამოძრავებს კომერციული ინტერესების მოსახლეობაში იბადება კითხვა თუ რატომ უნდა დაფინანსდეს საზოგადოების მხრიდან მაუწყებელი, რომლის პოლიტიკაც არ განსხვავდება კერძო კომპანიებისაგან.
- **ცნობა:** საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები უნდა განსხვავდებოდეს სხვა კერძო მაუწყებლისაგან. საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამებმა უნდა გვაჩვენოს იმ განსხვავება რაც არსებობდა მასა და კერძო კომპანიებს შორის. საზოგადოებრივი მაუწყებელი უნდა შეეხოს ყველა იმ პრობლემას, რომლითაც შეიძლება სხვა ტელევიზიები საერთოდ არ დაინტერესდნენ. მან უნდა შექმნას ახალი და საინტერესო უანრები, კონკურენცია გაუწიოს სხვა სამაუწყებლო საშუალებებებს და მოიპოვოს მოქალაქეების ნდობა.

ევრო საბჭოს დამოუკიდებელი ტელევიზიების კომისიამ 2004 წელს გამოსცა განმარტება საზოგადოებრივი მაუწყებლის, როგორც არხის შემადგენელ ძირითად ელემენტებზე.

- მოიცავს პროგრამების თართო სპექტრს, რომელიც სხვადასხვა გემოვნებისა და ინტერესის მაყურებელზეა გათვლილი;
- აკმაყოფილებს მაღალ ტექნიკურ და წარმოების სტანდარტებს, მოიცავს ინოვაციურ და ახალ ტექნოლოგიებს, როგორც შემეცნებით და საგანმანათლებლო შუამავლის როლს საზოგადოებაში;
- ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურულ, სოციალურ და ენობრივ მახასიტებლებს განსაკუთრებით უმცირესობისა და სხვა სპეციალური საჭიროების ადამიანების ინტერესებს, რათა უზრუნველყოს მათი შემდგომი ინტეგრაცია საზოგადოებაში. ასევე მოიცავს მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროგრამებს. ემსახურება რეგიონალური და მუნიციპალური საჭიროებების განსაზღვრას;
- ხელი შეუწყოს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას და უნდა იყოს ერის ხმა, სადაც ადამიანები მიდიან თავიანთი აზრის გამოსახატად;
- ის უნდა იყოს მოვლენების ეპიცენტრში, რათა საზოგადოებას პირველებმა მიანოდონ ინფორმაცია;
- საზოგადოებრივი მაუწყებელმა სხვა კომერციული არხებისაგან განსხვავებით, რომლებიც ორიენტირებულები არიან მხოლოდ საზოგადოების ინტერესებზე, უნდა დაანგრიოს სტერეოტიპები და მიიღოს რისკები და გამონვევები;

- უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, უზრუნველყოს აზრთა გაცვლა და იყოს ავტორიტეტული წყარო, რომელიც დატვირთული იქნება, როგორც ახალი ამბებით ასევე საჯარო დისკუსიებით;
- უნდა ფარავდეს მთელს ქვეყანას;
- შემზღუდელი სარეკლამო ღრო (შვიდი წუთი საათში ერთხელ ღღის განმავლობაში);
- უნდა იყოს უფასო და ხელმისაწვდომი;

2003 წელს გაიმართა მსოფლიო ელექტრონული მედიის ფორუმი, სადაც დოქტორი აბდულ ვაჰიდ ხანი, ღირექტორის მოადგილე, იუნესკოს კომუნიკაციის და საინფორმაციო სემინარზე „საჯარო სამსახურის შესახებ“.

მონრო პრაისს გლობალური კომუნიკაციების ცენტრის ხელმძღვანელი აყალიბებს თეორიას სატელევიზიო და სატელეკომუნიკაციო კარკასის მდგომარეობაზე გარდამავალ პერიოდში. ავტორი აყალიბებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ტელევიზიას ადამიანის ცხოვრებაში და რამდენად ნეგატიური აზრი გვაქვს ჩვენ რადიოსა და ტელევიზიაზე თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. არ არის ზუსტად განსაზღვრული თუ რა აკავშირებს სატელევიზიო სტრუქტურასა და სამთავრობო რეგოლებს. მსოფლიოში ხშირად ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც ორგანიზაციებში ასევე სატელევიზიო პროგრამებში. პროგრამეი ხელს უწყობს ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას, სამთავრობო და სახელმწიფო ორგანიზაციების დაახლოებას. განვითარებულ თუ განუვითარებელ, დემოკრატიულ თუ დიქტატურულ, გარდამავალ თუ სტაბილურ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიის სტრუქტურირება და რეგულირება. (Монро, П. (2000). Телевидение, телекоммуникации и переходный период: право, общество и национальная идентичность. Издательство МГУ. С.2).

1940-იან წლებში პოეტი ოდენი (*W. H. Auden*) ოცნებობდა ისეთ იდეალურ სახელმწიფოზე რომელსაც რა აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული საზღვრები. თანამედროვე მედიის ვერსიით ჩვენ გვაქვს საზოგადოება ფიზიკური და კულტურული საზღვრების გარეშე. საზღვრების მიუხედავად თანამგზავრებს შეუძლიათ სიგნალის გადაცემა. ყველგან ხდება ისტორიული პროცესების მუდმივი ცვლილება. 70 წლიანი კონტროლის მიუხედავად საბჭოთა კავშირმა მაინც ვერ მოახერხა ადამიანების საბოლოო დამორჩილება. ჩეხოსლოვაკია დაიშალა მშვიდობიანი არჩევნების შედეგად. მიზეზი? ცენტრალური ადგილი უკავია სახელმწიფოს იდეას, რომელიც ზრდის ჰეგემონიას და გავლენას ახდენს საზოგადოების ერთობაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მათი ქვეყნის ისტორია. ხალხმრავალ ადგილზე აღმართული ძეგლები არ უნდა დარჩნენ ძეგლებად და უნდა იცოდნენ თუ რა ისტორიის მატარებლები არიან ისინი. ამის პროპაგანდას ეწევა საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან ფინანსდება.

გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული ტელევიზია გაგებულია, როგორც ტელევიზია, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფო ფორმირებას, მიხედავად მონო ან მრავალფეროვანი შეხედულებებისა, რადგან ის ემსახურება ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს გაძლიერებას, დემოკრატიული ინსტიტუტების გამართულად მუშაობას. ერთი შეხედვით ეს ძალიან რთული პროცესია სინამდვილეში კი ადვილად განსახორციელებელია, რადგან სახელმწიფოს გამართულად მუშაობა სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობაზეა დაფუძნებული.

ზემოდსახსენებული ფაქტებიდან გამომდინარე „Soft-Power” ანუ „რბილი ძალის” მედია კონტენტი მოიცავს შემდგომ ფაქტორებს:

- იდეა, იდეოლოგია და კულტურა, რომლის ექსპორტირებაც ხდება სხვადასხვა სახელმწიფოებში;
- კომერციული იმპორტი და ექსპორტი;
- მედია პროდუქციის დისტრიბუცია: გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, სატელევიზიო და რადიო პროგრამები;
- მედია არხების იმპორტი და ექსპორტი: ნიუსები, ფილმები, მუსიკა, სატელევიზიო პროგრამები, ჟურნალისტური ნამუშევრები;

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი დებულება

2. მაუწყებლის უფლებაუნარიანობა, მიზნები და საქმიანობის საგანი

2.1. მაუწყებლის სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლები დადგენილია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნებითა და საქმიანობის საგნით.

მაუწყებლის მიზანს წარმოადგენს:

- ა) მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებების განხორციელება;*
- ბ) საზოგადოებისათვის პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება;*
- გ) შექმნილი ტელე-რადიო პროდუქციით, გაწეული მომსახურებითა და შესრულებული სამუშაოებით ტელერადიომაუწყებლობის*

დარგში

საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

2.3. მაუწყებლის საქმიანობის სავანს განეკუთვნება:

2.3.1. სატელევიზიო და რადიომაუწყებლობის ორგანიზება საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ;

2.3.2. სატელევიზიო და რადიო პროგრამების წარმოება, გახმოვანება, ტირაჟირება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

2.3.3. ტელერადიომაუწყებლობის ქსელის შექმნა;

2.3.4. ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და საზოგადოებისათვის მიწოდება;

2.3.5. ტელერადიო პროდუქციის საკონკურსო საწყისებზე გამოვლენა და მისი საზოგადოებისათვის მიწოდება;

2.3.6. საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მაუწყებლის მიერ გავრცელებული ტელერადიო პროდუქციის შესახებ;

2.3.7. მარკეტინგული და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება;

2.3.8. კანონმდებლობით დადგენილი წესით აუდიო-ვიდეო, აუდიოვიზუალური და კინო პროდუქციის შექმნა, ამ პროდუქციაზე სავაჭრო და ინტელექტუალური საკუთრების სხვა უფლებების მოპოვება;

2.3.9. ტელერადიოპროდუქციის შექმნისათვის საჭირო პირობების შექმნა;

2.3.10. სარეკლამო პროდუქციის დამზადება;

2.3.11. სარეკლამო მომსახურების განხორციელება.

2.4. მაუწყებელი ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც ემსახურება და მიზნად ისახავს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შინაარსობრივი ვალდებულებების შესრულებას.

VI. თავი მეოთხე

დოკუმენტური კინო/ქრონიკა, როგორც „Soft-Power“- ის ინსტრუმენტი

აღორძინების ეპოქაში, მე-15-მე-16 საუკუნეებში მხატვრები, არქიტექტორები და მეცნიერები ანტიკური ხელოვნების მონაპოვარს მიუბრუნდნენ. იტალიელმა მათემატიკოსმა ლუკა პაჩოლიმ მას აღტაცებით აღსავსე წიგნი „ღვთაებრივი პროპორცია მიუძღვნა“. ამ

თანათვარდობის შესახებ ბევრს წერდა გერმანელი ასტრონომი იოჰან კეპლერი, ხოლო ლეონარდო და ვინჩიო მას „ოქროს კვეთა“ უწოდა. მე-19 საუკუნის შუა წლებში გერმანელმა მეცნიერმა ა. ცაიზინგმა „ოქროს კვეთა“ განსაზღვრა როგორც უნივერსალური პროპორცია, რომელიც თითქოსდა ბუნების ყველაზე სრულყოფილი ქმნილებებისა და ხელოვნების ნიმუშებისთვის იყო დამახასიათებელი. ბევრი ფორმალისტური თეორია განიხილავდა ოქროს კვეთას როგორც შემოქმედების მთავარ კანონს. **სწორედ ოქროს კვეთის პროპორციაზე დაყრდნობით აგებდნენ ხელოვნების ოსტატები ხაზობრივ მონაცემებს, სივრცეების ფართობებს, ფორმის მოცულობას, მუსიკალური ნაწარმოებების ნაწილებიც დროში ოქროს კვეთის კანონით იზომებოდა, რითმული და ბგერითი მდგენლები მის მიხედვით იყოფოდა, კინოფილმების მონტაჟიც კი ოქროს კვეთის პროპორციით ხდებოდა. სინამდვილეში, ოქროს კვეთა მხოლოდ ერთია სხვა მრავალ სისტემას შორის, რომელიც განსაზღვრული ჰარმონიის შთაბეჭდილებას ქმნის, და სამყაროში არსებობს არაერთი ბრწყინვალე მაგალითი იმისა, როგორ ქმნისდნენ ავტორები შედეგებს სხვა მხატვრული პრინციპებით.**

პროპორციული თანათვარდობების საკითხი მაშინ დადგა, როცა სახვითი ხელოვნების ოსტატებს დასჭირდათ რეალური სამყაროს ობიექტების ურთიერთმიმართების ჩვენება. საბჭოთა კინოდოკუმენტალისტიკის კლასიკოსის ВГИК-ის ოპერატორული ხელოვნების კათედრის პროფესორის სერგეი მედინსკის ნაშრომს უდიდესი თერიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

პრაქტიკული თვალსაზრისით ავტორი არსებითად მნიშვნელოვნად მიიჩნევს კომპოზიციის როლს, რადგან სწორედ კომპოზიცია ეხმარება მაყურებელს, მთლიანობაში აღიქვას და არსში ჩწვდეს ხელოვნების ნიმუშს.

კინემატოგრაფშიც არსებობს ტერმინი „ფილმის კომპოზიცია“. მას იმ შემთხვევაში იყენებენ, როცა ეხებიან კინოსურათის აგების ზოგად საკითხებს.

კომპოზიცია - ეს არის მხატვრული ნაწარმოების აგებულება. იგი ფილმის ცალკეულ

ელემენტებს სახვით და ბგერით ფორმებში აერთიანებს და ურთიერთდაქვემდებარებით ერთობლიობას სძენს“.

მედინსკი კინოკადრის აგების თერიასა და პრაქტიკას განიხილავდა გერნერისა და გრაფიკის მეშვეობით, რომლებშიც დიდი ხნის წინ იჩინა თავი იმ კანონზომიერებებმა, რომლებიც აქტუალური აღმოჩნდა ათთვისაც, ვინც ფოტოგრაფიასა და კინოხელოვნებას მისდევდა.

ბერძნული სიტყვები „ფოტო“ (სინათლე) და „გრაფო“ (ვწერ) საფუძვლად დაედო ტერმინს, რომელშიც იგრძნობა ფოტოგრაფიის, ფერწერისა და ნახატის ერთიანობა, ანუ ადამიანის იმ საქმიანობებისა, რომლებიც სიბრტყეზე სამგანზომილებიან სამყაროს გამოსახავდნენ.

შემდეგ გაჩნდა სიტყვა „კინემატოგრაფი“, რომელიც აღნიშნავდა, რომ იმავე სინათლით უკვე მოძრაობას (კინემას) გადმოსცემდნენ.

მედინსკი - ამ სამი პარადიგმის შეპირისპირებით - მკითხველას პასუხობდა კითხვაზე „რით ენათესავება კინოკადრი ფერწერულ სურათს ან ნახატს?“. უპირველესად იმით, რომ მხატვარიცა და კინოოპერატორიც ცდილობენ, სირტყეზე გამოხატონ ჩვენს ირგვლივ მყოფი სამყარო, რომელიც სამგანზომილებაში არსებობს, და ხერხებით, რომლებიც ხანდახან მთლიანად ემთხვევიან ერთმანეთს.

გამოსახულების სხვადასხვა ნაწილების შეხამებები და პროპორციები, რიტმი, რომელშიც ელემენტები, შესაძლოა, მეორდებოდნენ, ზოგადი აგებულების სანახაობრივი, მხედველობითი ბალანსი და წონასწორობა, სიმეტრიული და ასიმეტრიული კონსტრუქციები, განსაზღვრული დეტალების გამოყოფა, გამკვეთრება ან, თუნდაც, მათი დამახინჯება, სინათლისა და ტონების გაჯერებულობა და ურთიერთქმედება - ეს ის არის, რაც საუკუნეების განმავლობაში გრაფიკოსისა და ფერმწერის მხატვრული ხერხების არსენალში მოიძებნებოდა; და ეს ყველაფერი ახლა კინოოპერატორის განკარგულებაში აღმოჩნდა. ფერი, რომელსაც ფერწერა იყენებს, კინემატოგრაფსაც ემსახურება. კოლორიტი კი ის ცნებაა, რომელიც თანაბრად განეკუთვნება ზეთის საღებავით დახატულ ტილოსაც და ფერად კინოფირსაც.

და მანიც, რა განსხვავებაა მხატვრასა და კინემატოგრაფისტს შორის/

კომპოზიციის კანონები თავისთავად, მაგრამ ისინი არ უნდა ბოჭავდნენ ავტორის ინიციატივას, პირიქით, საერთო განწყობების ფონზე მხატვრები კომპოზიციური გადაწყვეტების კომბინაციების უსასრულო რაოდენობამდე მიდიან, რადგანაც თითოეული სურათი თუ კინოკადრი უსასრულოდ მრავალფეროვანი სამყაროს რაღაც ერთ განსაზღვრულ ნაწილს ასახავს. მედინსკი წიგნში *«Компонуем кинокадр»* წერს: „უძველესი მოაზროვნეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ შემოქმედებითი მწვერვალების მისაღწევად ადამიანს სამი გზა აქვს. პირველი მათგანი - ეს არის არსებული მაღალი ნიმუშების მიმბაძელობა. ეს საკმაოდ იოლი გზაა, მაგრამ მას, როგორც წესი, წარმატება არ მოაქვს. ამ შემთხვევაში - ის, რასაც ავტორი აკეთებს, უკვე ვიღაც სხვამ გააკეთა პირველმა. როგორც წესი, ასეთი გამეორება ინტერესს არ იწვევს. მეორე გზა - ეს არის გათვლა მხოლოდ საკუთარ გამოცდილებაზე. ეს ღირსეული გზაა, თუმცა ყველაზე რისკიანი. რათა გავიაზროთ პროფესიის ყველა ნიუანსი საკუთარი ცდებისა და შეცდომების საფუძველზე, თელი სიცოცხლე არ გვეყოფა. და მხოლოდ მესამე გზას იწონებდნენ ძველი დროის ბრძენები - დამუკიდებელი განსჯის გზას, დაფუძნებულს საღი ზრის სიმდიდრეზე. ამ გზით სიარულისას გადმოსცემს მხატვარი თავის თაბეჭდილებებს, სამყაროს გაგებას, მაგრამ ადროს არ უარყოფს სხვის მიგნებებს. იგი თითქოს ეთაბირება მათ, ვინც მანამდე ტყმნიდა. სხვა ოსტატები შეცდომები თითქოს იცავენ მას. შემოქმედებითი პროცესისი პრინციპების შესწავლა აფართოებს ავტორის შესაძლებლობებს, ეხმარება მას, მიაგნოს თამამ საინტერესო გადაწყვეტებს. თეორიულად მომზადებული კინოოპერატორი შეძლებს შემოქმედებითად გამოიყენოს ის ტექნიკა, რომლის გარეშეც დღეს ვერც ერთი კინემატოგრაფისტი ვერ შექმნის საკუთარ ნაწარმოებს“.

ახლა კი მკითხველს შეუძლია, დასვას მთავარი შეკითხვა: „რა სჭირდება მაყურებელს/მნახველს მხატვრისგან?“ ის, რომ მხატვარმა რაიმე საინტერესო შეტყობინება შექმნას, ისეთი, რის არსებობასაც მნახველი არც კი ეჭვობდა ხელოვნების ნიმუშთან შეხვედრამდე. მაგრამ მხატვარს რა სურს აუდიტორიისგან? ის, რომ აუდიტორიამ გაიზიაროს

და გაიგოს ავტორისეული ჩანაფიქრი, გაიზიარონ მისი პოზიცია. დაფუქრდნენ იმ შეკითხვებზე, რომლებიც მახტვარმა საკუთარ თავს და საზოგადოებას დაუსვა.

სერგეი მედინსკის წიგნში არის ერთი საინტერესო ფრაგმენტი კინემატოგრაფის გავლენის შესახებ, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც კინოინსტრუმენტარიუმი რბილი ძალისთვის.

«ოდესლაც კიბერნეტიკის მამამ ნორმერტ ვინერმა საკუთარ თავს მარტივი, მაგრამ ძალიან ღღმა შეკითხვა დაუსვა: რა საჭიროა მთელი ის ინფორმაცია, რომელიც შეუნყვეტლივ გადაიცემა კავშირგაბმულობის ყველა შესაძლო არხით ცოცხალ ორგანიზმებში, გონიერი და არაგონიერი არსებების თანამეგობრობებში და ადამიანის მიერ შექმნილ ტექნიკურ სისტემებში?» პასუხი ძალიან მარტივი იყო: ინფორმაცია საჭიროა სამართადად.

ამ მიმართებით არც კინემატოგრაფი წარმოადგენს გამონაკლისს. ყველაფერი, რასაც ეკრანი მაყურებელს გადასცემს, გემოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, რომელიც დარბაზში მის, და სწორედ ეს არის ის მართვის მომენტი, რომლის გამოც ქმნის მხატვარი. გაიზიარებს თუ არ გაიზიარებს მაყურებელი ავტორის პოზიციას - ეს სხვა შეკითხვაა, - ავტორის ინიციატივას კი ყველა შემთხვევაში დაევემდებარება., მაშინაც კი, თუ მასთან პოლემიკაში შევა. ყოველ ჯერზე კონკრეტულ შემთხვევაზე დამოკიდებული, დამყარდება თუ არა მათ შორის ურთიერთგაგება. მაგრამ ორივე შემთხვევაში დგება უმნიშვნელოვანესი პრობლემა - სუბიექტური მომენტი შემოქმედებითი პროცესისა და ხელოვნების ნიმუშის სუბიექტური აღქმისა. ეამდენი ავტორიც არის, იმდენივე იდეაა. რამდენი მაყურებელიც არის, იმდენი შეფასებაა. კინემატოგრაფი და მაყურებელი - ეს არის ორი პოზიცია, რომლებზეც დამოკიდებულია ხელოვნების ნიმუშის ბედი.

ახლა კი დროა, განხილვაში შემოვიტანოთ ცნება „სამყაროს სახე/ხატი“, ესოდენ მნიშვნელოვანი ჩვენი განსკისთვის, ასევე მისი კონოტაციური რიგი: რეალობა, სინამდვილე, მათგან წარმოებული ეპითეტები „რეალური“, „ნამდვილი“ და, რასაკვირველია, ცნება „რეალიზმი“, როგორც გარემოს ადეკვატურად შეცნობისა და ასახვის სიმბოლო ხელოვნების

ნიმუშში. ეს ცნებები ძირითადად მე-19 საუკუნის შუა წლებიდან შემოდინან სამეცნიერო დისკურსში.

„ვირტუალური რეალობის“ გაგება პირველ რიგში ნიშნავს ტელევიზიისა და კომპიუტერის გაგებას თანამედროვე სამყაროში. კინომატოგრაფია იქმნება იმისათვის, რომ მოხდეს კაცობრიობის ცოდნის რეალიზება და ინტეგრაცია.

დოკუმენტურ კინოს აქვს საკუთარი ისტორია, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მსოფლიოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან მოვლენას. დოკუმენტური კინო გვაძლევს მკაფიო სურათს თუ რა ძვრები მოხდა საზოგადოებაში ისტორიის თითოეულ პერიოდში.

დოკუმენტალისტიკა ინტეგრირებულია არა მარტო რეალობასთან, არამედ ისტორიულ, სოციალურ-პოლიტიკურ გარემოსთან. დოკუმენტალისტიკის დიალექტიკა საშუალებას გვაძლევს ვიპოვოთ ადეკვატური ენა ისტორიული გარემოს გადმოსაცემად. ბოლო პერიოდის განმავლობაში, რაც კინომატოგრაფიაში გაჩნდა ახალი უნარი, „დოკუმენტალური კინო“ ის აქტიურად თანამშრომლობს მედია და სატელევიზიო არხებთან.

გრიერსონის მოსაზრების მიხედვით „ დოკუმენტალისტიკა არის რეალობის შემოქმედებაში ინტერპრეტაცია“. მას აქვს ცდუნება გასცდეს პირობითად დადგენილ საზღვრებს და ახალი „თამაში წესები განსაზღვროს“.

გაცილებით მნიშვნელოვანი თუ რა პროცესები ხდება რეჟისორის თავს, როცა ის ქმნის დოკუმენტურ კინოს, სადაც ბოლო წლების ტენდენცია გვიჩვენებს თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადამიანის სულიერი სამყაროს და არა მარტო რეალობის გადმოცემა დოკუმენტალისტიკაში.

მეორე მხრივ, „ვირტუალიზაცია“ ინფორმაციული რეალობა, რომელიც შექმნილია მედია და სატელევიზიო ბადის მიერ. მისი პირველი მახასიათებელია რეალობასთან პირდაპირი

შეჯახება. როცა მედიისა და ტელევიზიის მიერ შექმნილი ინფორმაცია საშუალებას გაძლევს არა მარტო დაინახო შენს გარშემო არსებული სამყარო, არამედ ის შეიცავს პუბლიცისტურ ელემენტებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ აზრზე.

ძალიან რთულია გადალახო ცდუნება და ახსნა ცხოვრება სიტყვების გარეშე და ხელი შეუწყო მაყურებელს გაიგოს და იგრძნოს ცხოვრებისეული პრობლემები, რომლის შესახებაც ავტორი თავისი მხატვრული ნარატივით მოგვითხრობს. ავტორი აყალიბებს აზრობრივ სანყისს, რომელიც კარს უღებს მაყურებელს ნამდვილი კინოსამყაროსაკენ. **როგორც შორეულ წარსულში ა.ბაზენის დროს ასევე დღესაც კინო ინდუსტრია ორი დინებისაგან შედგება: უმთავრესია რეალობისადმი ნდობა და შემდგომად ავტორი, რომელიც ქმნის სტრუქტურას ეკრანზე.**

დოკუმენტურ კინოში ორივე თვალსაზრისით, როგორც გამოხატვის ასევე მეთოდებით ხდება ცვლილებები. არსებული კონცეფციის მიხედვით გმირი, როგორც პორტრეტის მასალა მთლიანად ავტორისმიერაა გამოგონილი, რაც არაზუსტია. დოკუმენტური გმირი, ძველი კონცეფციის მიხედვით, წარმოადგენს ერთგვარ მოზაიკას, რომელიც ავტორის თვალში უფრო რეპრეზენტატიულია. ეკრანზე გმირი რეალურ ადამიანს განასახიერებდა, მაგრამ ყოველთვის ჰქონდა სხვადასხვა განზომილება და მხატვრული სიკაშკაშე. სტრუქტურაც და ჯანრიც ავტორის გადაწყვეტილების შესაბამისად იცვლებოდა.

თანამედროვე დოკუმენტალისტიკა სულ უფრო და უფრო შორდება პუბლიცისტური კონცეფციის ფორმებს, ზოგადად პორტრეტს, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ და გადადის აგრესიულ სატელევიზიო მედია ტექსტზე, სადაც რელობა მცირე ფრაგმენტებადაა წარმოდგენილი და იწვევს უნდობლობას მაყურებელში. თანამედროვე დოკუმენტური გმირი საშუალებას გვაძლევს შექმნათ ახალი უანრები და კომპოზიციები.

კამერა არის პერსონიფიცირებული, ავტორი წყვეტს იყოს „დემიურგი“ ანუ კულტურული გმირი და ქმნის ეპიზოდს, სცენას, სადაც მიმდინარეობს უშუალო დიალოგი ავტორსა და

გმირსგზორის. უდიდესი თავისუფლება თანამედროვე გმირს მოუტანა ხმამ, სიტყვამ,
დოკუმენტურმა მეტყველებამ.

*სანამ აღნიშნულ კვლევებზე გადავალთ, მინდა მკითხველს კი
წარვუდგინო რამოდენიმე ინტერვიუ დოკუმენტურ კინოზე.*

